# სახალხო გაზეთი

№ 1198 პარასკევი, 30 მაისი 1914 წ. № 1198

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელზე 10 კ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი ტექსტის წინ 20 კ., უკან 10 კ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითო-ჯერ სადამოს 4 საათამდე ღირს 3 მ. 4 საათის შემდეგ მიიღება მხოლოდ თვით სტამბა „შრომა“-ში, მუხრანის ქუჩა, და ეღირება 4 მანეთი.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კავკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. და მ. მეტცლ და ამხ.-ის განცხადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვში, მიასნიცკის ქ., ს. სიტოვისა და მის განყოფილებებში: პეტერბურგში—მორსკაია 11, ვარშავაში—მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში—ბირჟის ოედანი.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება „სახალხო გაზეთი“-ს რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3-მდე, სადამოთი 5-დან 7-მდე.

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. პირადად ძლაპარაკება შეიძლება ყოველ-დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. ადრესის გამოცვლა 40 კაპ.

რედაქცია და კანტორა იმყოფება: ტფილისში, სასახლის ქ., სარაჯიშვილის სახ. № 6. ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისთვის: ტფილისი, ქართული „სახალხო გაზეთი“ 190.

ტელეფონი №12-29

გაზეთის ფასი წელიწადში 8 მ. 50 კ., თვეში—75 კაპ. ცალკე № უღირს 5 კ., დამატებიანი—7 კ.

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გამოცემა



ახალი კლუბის ბალი ქართული თეატრის უკან

1-ლ ივნისს, კვირას, 1914 წ. ქართველთა შორის წ.-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების სასარგებლოდ

ახალი კლუბის ბაღში გაიმართება

# დიდი სეირნობა

გასართობებით გაფუჭებისთვის და დიდებისთვის:

ამერიკული ბაზარი, ბედნიერი კლიტე, დაუშრეტელი ქანწი, თვალთმაქცი, კონფეტტი, ყვავილები, ამურის სიცელქე, დედოფალა, რებუსი, რგოლების სროლა, სინემატოგრაფი და ცეკვა.

სეირნობის დროს დაუკრავს სამხედრო მუსიკა და საზანდარი. დასაწყისი 4 საათზე.

შესასვლელი ფასი დიდებისათვის 25 კაპ., პატარებისთვის და მოწაფეთათვის 15 კაპ.

სეირნობის გამგე წ. კ. გ. ს. გამგეობა. 1236

## ქართული თეატრი

ორშაბათს, 2 ივნისს, ქართ. დრამატ. საზოგადოების გამგეობა გამართავს

# განსაკუთრებული ზაფხულის საღამოს

თეატრისა და ახალ კლუბის საზამთრო და საზაფხულო შენობები

✦ მორთული იქნებიან კოშკებით, დუქნებითა და რესტორანებით. ✦

საინტერესო მუზეუმები ახალი კლუბისა და დრამატიული საზოგადოებისა, დიდი პანორამა, ამერიკული ბარი, სამასხარო (ბალაგანი), დიდი რესტორანი ესტრადით; დაუკრავს არა-ჩვეულებრივი სიმებიანი ორკესტრი და იმღერებენ არაჩვეულებრივი მომღერალნი. საქეიფო დუქანი დუდუკით და ზურნით, დუქანს განაგებს ცნობილი მედუქნე. მაწანწალა მუსიკოსები, „პეტრუშკა“. საგანგებოდ მოწვეულნი არიან რესტორანისათვის „კელნერშები“. სცენაზე: 1) სიმფონიური კონცერტი, მონაწილეობენ ბ-ნნი გ. სარაჯიშვილი და ლეჟავა (ბარიტონი), ახალი კლუბის დიდი სიმფონიური ორკესტრი ბ. გ. ფალიაშვილის ლოტბარობით. 2) პანტომიმა—შეასრულებს სცენის მოყვარეთა ჯგუფი. 3) სიმღერა-იუმორისტული განყოფილება—ბ. თავგურას ხელმძღვანელობით. ა) ახლად გამოგონილი კინემატოგრაფი. ბ) ლექსები, სცენები და ზღაპრები. დასასრულ ცეკვა. ✦ ბილეთი ამთავითვე იყიდება თეატრის კასაში.

1193 დასაწყ. საღ. 8-ნახევ. ს. ქართ. დრ. საზ. გამგეობა.

ტფილისის ქართული დრამატიული

## საზოგადოების გამგეობა

აცხადებს, რომ

## ქართველ სცენის მოღვაწეთა პირველი

# ყრილობა

გადადო 8 ივნისისათვის. ყრილობა შეიკრიბება ქ. ტფილისს, ქართულს თეატრში, კვირას, 8 ივნისს, 1914 წ. დილის 12 ს. ყრილობაში მონაწილეობა გადამწყვეტი ხმით შეუძლიანთ:

1) ქართ. დრამატ. საზოგადოებათა წარმომადგენელთ.
2) ქართ. დრამატ. წრეებისა და ჯგუფების წარმომადგენლებს.
3) მსახიობთა და სცენის მოყვარეთ.
4) სცენის მოღვაწეთ, რომელთაც კი რამე დამსახურება მიუძღვით თეატრისადმი, ან რამე დამოკიდებულება აქვთ მასთან.
5) მომხსენებელთ, რომელნიც რამე მოხსენებას წარმოადგენენ პროგრამაში აღნიშნულს კითხვებზედ.
6) მუსიკოსთ, მოქანდაკეთა და მხატვართ.
7) დრამატურგებსა და მთარგმნელებს.
8) გეჭდვით ორგანოთა წარმომადგენლებს.
9) დრამატიულ საზოგადოებათა წევრებს.

ყოველი წევრი იხდის: მსახიობნი და სცენის მოყვარენი—1 მ., დანარჩენნი—2 მ. მსურველთ შეუძლიანთ ჩაეწერონ პირადად და წერილობით ტფილისის დრამატ. საზოგად. კანტორასთან არსებულს მიმღებ კომისიაში პირველ ივნისამდე. ამ დრომდისვე მიიღება ყველა მოხსენებანი. 1193

## ქუთაისის ქალაქის თეატრი

შაბათს, 31 მაისს,

## გ. გერონტი ქიქოძე

წაიკითხავს **ლექციას** შემდეგს თემაზე:

# მენიე და როდენი.

ლექციის დროს სურათების ფარნით ნაჩვენები იქნება შემდეგი ნაწარმოები:

1) მენიე: მუშის ბინა, მაღაროდან ამოსვლა, მთა-მადნის მუშა, მუშა წყლის სმის დროს, დაკარგული შვილი, მკა, მრეწველობა, მაღარო, ნავთსადგური, მთესავი.

2) როდენი: ვიქტორ ჰიუგო, ომის გენია, ოცნება, ფავნი და ნიმფა, ყმაწვილი ვაჟი და ქალი, აზრი, პარკი და ყმაწვილი, მოხვევნა (ორი ვარიაცია), მშვიდობით, დანაიდა, ხელები, მოაზროვნე, მადამ სემპსონი, რომეო და ჯულიეტა, ქარიშხალი, აპოლონი, კრიტიკოსი ყეფრუა, პირველი განშორება, დამჭკნარი მშვენიერება, პიგმალიონი და გალატეია, ევა, კარიატიდა, ნიობეია, სფინქსი, ავიცანა, კალეს მოქალაქენი, სასოწარკვეთილება, ცხვირგატეხილი მამაკაცი, მუდმივი გაზაფხული, ტვირთ-მძიმე, ბალზაკი, იკაროსი, ხელი ღვთაებისა, კოცნა, მუდმივი კერპი.

## პროგიმნაზია ვ. ა. ლევანდოვსკისა

ამ წლის 25 მაისის უმაღლესის ბრძანებით გადაკეთდა სრულ 8 კლასიან

# გიმნაზიად

სახელმწიფო გიმნაზიების უფლებებით; ყველა კლასებში ქალ-ვაჟნი ერთად ისწავლიან.

ცნობების მიღება შეიძლება გიმნაზიის კანცელარიაში ყოველ-დღე დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 2 საათამდე.

ტფილისი, გუნიბის ქ. საკუთ. სახლი № 10. 408

## დიდი ცირკი ფ. ა. სუპატოვისა

მიხეილის პროსპექტზე, მუშტაიდთან.



პარასკევს, 30 მაისს, ახალი არტისტების გასტროლია, გაიმართება

## დიდი საგასტროლო წარმოდგენა.

მეორე გასტროლი რუსეთის ერთად-ერთი ახალგაზრდა ქალი-ჟოკეი ქ-ნი მატილიდა ვასილიამსი, რომელსაც თავისი უშიშარი ჯირითობით პეტერბურგში „მოდერნის“ ცირკში მოსიარულე საზოგადოებას დიდად მოსწონდა ამ სეზონში. მეორე დებიუტი მოდური ორთა ცეკვისა ბ. ბ. სოკოლოვსკებისა, რომელნიც შეასრულებენ ტანგოსა და მრავალ სხვა ცეკვას. ტანგოს მხოლოდ მეორეთ იცეკვებენ ტფილისის ცირკის მანეჟში. აგრეთვე მონაწილეობენ: ტფილისის საზოგადოების საყვარელი დღიურ ქირვარმის მუსიკ. ექსცენტრიკები ბ.ბ. როზეტები, მცირე წლოვანი ფლორები, ჯამბაზები ძმ. როსინები მხიარულ გუნების შემქმნელი ბუფ-რიჟა ბ-ნი შიტსონი, ცირკის თაღში მოსრიალე უშიშარი გიმნასტები ბ.ბ. ერიკსონი და მრავალი სხვანი. დაწვრილებით პროგრამებში.

ცირკის დირექტორი ფ. სუპატოვი გამგე ხუნდაძე.

დასაწყისი საღამოს $8^1/_2$ ს. 401

გორის პირველი კერძო

# საავადმყოფო

ქირურგიულ და ტერაპევტიულ (შინაგანი სნეულებათა) განყოფილებები.

კუთხე სობოროსი და სემინარიის ქუჩისა, სახლი ზანგურიძისა.

სტაციონალური განყოფილება მოწყობილია 20 საწოლით.

მწოლიარე ავადმყოფების მიღება შეიძლება ყოველ დროს.

გარედან მოსიარულე ავადმყოფებს მიიღებენ შემდეგი ექიმები:

**კობერიძე მ. ს.** ქირურგიული, სამშობიარო და დედათა სნეულებანი ყოველ დღე 8—12 ს.-მდე.

**წინამძღვარიშვილი მ. დ.** შინაგანი და ბავშვთა სნეულებანი, ყოველ დღე დილ. 9—12 ს.-დე გარდა კვირისა.

**მესხიშვილი ს. ს.** ქირურგ. სნეულებანი, ყოველ დღე 12—1 ს.-დე.

**ზრიუკინერი მ. მ.** თვალისა და ვენერიული (ათაშანგის) ავადმყოფ. ყოველ დღე 1—2 ს.-დე.

**ბინზბურგი ა. ლ.** კბილისა სნეულებანი ყოველ დღე 2—9 ს.-დე.

რჩევისათვის 50 კ., საწოლები 2 მ. დაწყებული, ცალკე ოთახი 4 მ.-დან. ოპერაციები, კონსილიუმი, ელექტრონით წამლობა, მასაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება, შეხვევა და სხვა შეღავათიანი ფასით.

საავადმყოფოს აქვს მოწყობილი საკუთარი სამიკროქიმიო და საბაქტერიოლოგიო ლაბორატორია. გასინჯვა: სისხლისა, შარდისა, ნახველისა, კუჭის წვენისა და სხვა წამლობა „606“, „914“. 1088

# ტფილისის კერძო საავადმყოფო

ქჩენიევის ქუჩა, საკუთ. სახლი, № 7, მიხეილის პროსპექტისა და [illegible] სასტუმროს ახლო.

ტელეფონი № 590.

სტაციონალური განყოფილება მოწყობილია 50 საწოლით, ცალკე ნომრებით და საერთო ოთახებით განსაკუთრებითი სამშობიარო განყოფილება.

მწოლიარე ავადმყოფთა მიღება შეიძლება ყოველ წამს, გარეშე მოსიარულე ავადმყოფებს მიიღებენ შემდეგი ექიმები-სპეციალისტები:

| | |
|---|---|
| შინაგანი სნეულებანი. | **მანსვეტაშვილი მ. მ.** ორშაბ., ოთხშ. და პარასკ. 2—3 ს.<br>**მალალაშვილი ბ. ზ.** სამშაბ. და შაბათობით 10—12.<br>**მიქელაძე შ. ა.** ყოველ დღე $12^1/_2$—1. ს.<br>**ფიდოროვი ე. გ.** ყოველ დღე, 11—12.<br>**ძიძალაშვილი პ. ლ.** ყოვ.-დღე 1-ნახ.—2 ს. |
| ქირურგ. სნეულებანი. | **მარკევიჩი მ. ლ.** კონსულტანტი ყოველ დღე $11^1/_2$—$12^1/_2$.<br>**მელიქიშვილი ნ. ა.** ყოველ დღე 10—1.<br>**ფირალოვი რ. ბ.** ყოველ დღე 12—1. |
| ქალთა და სამშობ. სნეულებანი. | ექიმი-ქალი **მერბიცკი-ფირალოვისა ლ.** ყოველ დღე 11—12.<br>**თიკანაძე ი. ე.** ყოველ დღე 1—2.<br>**მელიქიშვილი ნ. მ.** ყოველ დღე 10—1. |
| ბავშვთა სნეულებ. | **მიქელაძე შ. ა.** ყოველ დღე $12^1/_2$—1.<br>**ფიდოროვი ბ. ს.** ყოველ დღე 11—2.<br>**ძიძალაშვილი პ. ლ.** ყოვ.-დღე 1-ნახ.—2 ს. |
| ნერვიულ სნეულებ. და ელექ. | **ჯაფარიძე-შვილი ნ. ნ.** სამშაბ., ხუთშაბ. და შაბათ. 12—1.<br>**ფონდოვი ბ. ს.** ყოველ დღე 1—2. |
| ყელ. ყურის და ცხვირ. | **ათენიანცი ნ. ა.** ყოველ დღე $12^1/_2$—$1^1/_2$. |
| თვალის სნეულ. | **მუსხელიშვილი ზ. ს.** ორშაბათ., ოთხშ. და პარასკ. 2—$2^1/_2$. |
| კან. და ვენერ. ავ. | **დიასამიძე ა. ნ.** ყოველ დღე $11^1/_2$—$12^1/_2$. |

საავადმყოფოს აქვს მოწყობილი საკუთარი სამიკროქიმიო და საბაქტერიოლოგიო ლაბორატორია. სისხლის გასინჯვა, ათაშანგ. Wasserman. რჩევისათვის 50 კ. საწოლები 2 მ. დაწყებული. ცალკე ოთახი 5 მ.-დან. მშობიარობა 10 დღე წოლით ღირს 40 მ. დაწყებული, ოპერაციები, კონსილიუმი, შარდის ბუშტისა და მილების კატეტერიზაცია, „606“ და „914“ წამლის შეშხაპუნება, ელექტრონით წამლ., მასსაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება და სხვა, შეღავათიანი საფასურით. ჯ. 1070

დილით **ქართული თეატრი** დილით

კვირას, 1 ივნისს, დილით ქართულ თეატრში გაიმართება

# სალიტერატურო-სამუსიკო დილა

## ლექციით

I

## ილია ნაკაშიძის ლექცია:

## რა არის ადამიანის სიცოცხლე?

II

**ლექსები და სიმღერები**

წაიკითხავენ თავიანთ ნაწარმოებს: აკაკი, ნ. ერისთავი, ი. გრიშაშვილი, ბ. აბაშიძე(?), გ. ქუჩიშვილი, ნ. ჩხიკვაძე. ტფილისის ქართველ მომღერალთა გუნდი მ. კავსაძის ლოტბარობით შეასრულებს ხალხურ სხვა და სხვა სიმღერებს. ფლეიტზე ჩამოუვლიან ლებანიძე და ბაქაქური.

III

**ხუმრობა და სიცილი.**

ერთელი წაიკითხავს იუმორისტულ ლექციას: „ჩვენი მგოსნები“. გ. აბაშიძე და ნ. გოცირიძე იმღერებენ „ვაი-ვუის“ ხმაზე საამდროვო კუპლეტებს. რ. ჯიბლაძე წაიკითხავს გურულ სცენებს. ი. სულიაშვილი დაუკრავს თარზე. დასასრულ გურულ ტანისამოსში გამოწყობილი გურული იცეკვებს ამოღებული ხმლით.

ადგილ. ფასი დაკლებულია. დასაწყისი დილის 12-ნახევარ საათ.

1239 გამგე ბ. ბეგლარიძე.

**სეზონის დასასრული.**

**ძმ. ზუბალაშვილების სახელობის სახალხო სახლში**

შაბათს, 31 მაისს, სახ. სახ. არს. ქართ. სახ. წარმ. მმართ. წრის მიერ

## ე. ნინოშვილის

გარდაცვალებიდან ოცი წლის შესრულების აღსანიშნავად მ. წულუკიძე წაიკითხავს მოკლე ბიოგრაფიას. წარმოდგენილ იქნება:

1) **ქრისტინე,** მხოლოდ 1 მოქ. 2 სურ. | 2) **სოფლის გმირები** მხოლოდ მეოთხე მოქ. სადგური.

მონაწილეობას მიიღებს წრის ყველა სცენის მოყვარე.

ადგილების ფასი 5—50 კ. ✦ დასაწყისი საღამ. 8-ნახევარ საათზე.

რეჟისორი ალ. წუწუნავა, რეჟ. თანაშ. ალ. გუგუშვილი.

1240 ქართ. სახ. წარ. მმართ. წრის ადმინ.

# ვაგზლის საავადმყოფო

(შიხინოვის ვაგზლის აფთიაქის გვერდზე, ვაგზლის ქუჩა, № 8. ტელეფონი 695)

მიიღებენ ავადმყოფებს 11 საათიდან 3 საათამდე.

**ნათიშვილი**—ვენერიული და კანის ავადმყოფ. 10—11 ს.

**მინასოვი**—ქირურგი, 11—12 საათამდე.

**პაპოვი**—ყურისა, ცხვირისა და ყელის ავადმყოფობანი 11—$11^1/_2$ საათამდე.

**ციციშვილი**—შინაგანი და ნერვების 12—1 საათამდე.

**ექ. ქალი იოსელიანი**—ქალური ავადმყოფობანი, კვირაობით, სამშაბათობით და ხუთშაბათობით 11—$11^1/_2$ ს.

**სამხედრო ექ. კლდიაშვილი**—შინაგანი და ბავშვების სნეულებ. 12—1 ს.

**გაშაკიძე**—შინაგანი და ბავშვების სნეულებანი, სადამოს 6—7 საათამდე.

ყვავილის აცრა, ძიძათ შემოწმება და სხვ.

რჩევის საფასური—50 კაპ.

## წამლობა „914“ და „606“. 1023

# სანატორიუმი

## „რუსული დაჩა“,

**აბასთუმანში.**

ჭლექიანებისა, სისხლ-ნაკლებთა, დაქანცულთა და ფილტვების ს[...] ახლად დაავადებულთათვის. საუცხოვო განმარტოვებული მზიანი, უქ[...] ფიჭვნარიან ტყეში. სანატორიუმთან მოწყობილია საკუთარი რენტგენის [...] თანამედროვე ფიზიკური წამლობა, ჰიგიენა-დიეტაზე დამყარებული, სპ[...] ბა ტუბერკულინით, ხელოვნური პნევმოტორაქსი და ტყირპის წამლო[...] ვებით. საკუთარი მერძეობის ფერმა. სრულის პანსიონით საავ[...] სხვა თვეში 120—200 მ. ✦ დაწვრილებითი ცნობებისათვის მი[...] დირექტორს ექიმს გ. მეზრაბიანცს, აბასთუმანში. ზ[...]

ტფ. გუბერ.

ელექტრონის, რენტ[...]

საავადმ[...]

საექი[...]

მიხეილ ჯ[...]

ნევრებით ავადმყოფთა [...]

საა[...] [...]თი 6—[...]

# შმ. ჯავახოვებისა და ამხ. საფეიქრო მაღაზიაში

შუა ბაზარი, მანთაშევის მამულში № 71, 72, 73. ტელეფ. № 793.

## 20 მაისიდან 7 ივნისამდე დანიშნულია

# არაჩვეულებრივი იაფი ვაჭრობა

მაუდეულისა, შალეულისა, აბრეშუმეულისა და ბამბეულის საქონლისა. 1220

ქ. ტ. წ.-კ. გამავრ. საზ. წიგნის მაღაზიაში იყიდება ქართულ სიტყვა-კაზმულ მწერლობის საზოგადოების გამოცემა

# ი. ჭავჭავაძე

წიგნში მოთავსებულია დღემდე დაწერილ-დაბეჭდილი ყველა ლექსი. ფასი ერთი მანეთი

ვინც არა ნაკლებ 5 ცალისას იყიდის ან დაიბარებს, დაეთმობა 20 პროც. წიგნის გამოწერა შეიძლება ამ ადრესით:

ადრესი: Тифлисъ Книж. магазинъ О-ва грам. ср. гр. рас. 1072

„ტფ. ქართ. საამხ. მომღერალ-მგალობ. გუნდის"

გამგეობა და ლოტბარი მიხეილ კავსაძე სთხოვენ ყველა ძველ და ეხლანდელ წევრთ მობრძანდენ და დაესწრნენ საგანგებო წლიურ კრებაზე, ამა წლის სამშაბათს 3 ივნისს საღამოს სრულ 4 საათზე ავჭალის ქ. № 29. განსახილველია მრავალი საკითხები: 1) ანგარიშების, ფონდის და ქონების ცნობისა-დამტკიცება, 2) მომავალ წლის მოქმედება, 3) ახალ წევრების მიღება და სხვა.

ვსთხოვთ განსაკუთრებით დაესწრნენ ძველი წევრები, რომელთაც შრომა და ღვაწლი მიუძღვით, როგორც გუნდის დაარსებაში, ისე ქონების შეძენაშიც. კრების გადადება შეუძლებელია.

409. გამგეობა.

ტფ. ქართველ ქალთა საზოგადოების

# გამგეობა

აუწყებს თავის პატივცემულ წევრთ, ვისაც ხვედრი წლიური გადასახადი (სამი მან.) სრულიად არა აქვს შემოტანილი, კეთილ ინებონ და შეავსონ დანარჩენი. ფული უნდა წარუდგინონ იმათ, ვისგანაც საწევრო გადასახადის ბარათი აქვთ მიღებული და ზედვე აღანიშვნინონ რაოდენობა გადასახადისა.

ქ. ტ. წ.-კ. გამავრც. საზოგ. წიგნის მაღაზიაში

იყიდება შემდეგი წიგნები დრამატიული ნაწერები:

- აბაშიძე. ვოდევილები: იქვიანი, ბნელს ოთახში, ახირებულია 1 მოქ., 30 კ.
- — ორი ჯიბგირი. 5 მოქ., 40
- ორი მშიერი. ვოდ. 1 მოქმ. 7
- გედევანიშვილი. გამცემი, დრ. 3 მოქმ. 25
- გლახაშვილი. დაღი, დრ. 3 მოქ. 20
- — მამა შვილი ანუ გაუბედურებულნი. 15
- — თანამედროვე პიეს. „კოცნა" და „მოხერხებული ადუკანტი" 1 მოქმ. ვოდევილი. 30
- — წყურვილი. დრ. 3 მოქმ. 30
- გიგაური. შვილი უდანაშაულოდ დასჯილისა დრ. 4 მოქ. 30
- გულისაშვილი. ორი პიესა. 50
- ერისთავი დ. სამშობლო, მეორედ გაყმაწვილება, დავიდარაბა და სხ. სრული ნაწერები. 1 მ.
- ერისთავი გ. რჩეული თხზულ. 60
- — ძუნწი, კომედ. 5
- — გაყრა, კომ. 4 მოქმ. 5
- ვაჩნაძე. კაცი ვარ და ქუდი მხურავს. კომ. 20
- ირეთელი. სოფლის გმირები. დრ. 4 მოქმ. 25
- ილიას დღე ქიათურაში. 20
- კუდიანი ვარსკვლავი. კომ. 1 მოქ. 5
- რამიშვილი ტრ. ექიმი აშირბაჯიანი, 3 მოქმ. 20
- — ცხოვრების ნაწყვეტი. ერთ მოქმედ. 15
- საღამოს ერთი ცხვირი ხეირია. 1 მოქმ. 10
- შიუკაშვილი. გამხმარი ფოთოლი. 4 მოქმ. 20
- — მეგობრობა. დრ. 4 მოქ. 30
- ყიფიანი ვ. სამეგრელოს მთავარი ლევან. ისტ. დრ. 5 მოქ. 40

ადრესი: Тифлисъ. Книжн. маг. О-ва распр. грамотн. 1072

# საფურთალოზე

მშვენიერ ადგას

ახლად აშენებულ ეკლესიისა და დიდუბის მოშავალ ხიდის მახლობლად დაიყრა 20 დესეტინა მამული და იყიდება წვრილ ნაჭრებად ხელმისაწვდომელ ფასებში.

მსურველთ შეუძლიანთ მიმართონ თელავის ქუჩაზე, სახლი № 6, სოლომონ ივანეს ძე თაქთაქიშვილს, დილის 8 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. საღამოს 5 საათიდან 8 საათამდე. უმორჩილესად ვთხოვთ მიწის მყიდველებს, რომ თავის დროზე შემოიტანონ დარჩენილი ფული, თანახმად ჩვენგან მიცემულ კვიტანციისა. 1078

...ონის უნივერსიტეტის დიპლომიანი დოქტორი

# მებრაძიანცი

ყოფილი „რუსული ამბავლიმანში,

...ობა ავადმყოფებს.

...მლექი და გულის ...ულქისათვის შ... ...ირ. პნევმო... ...სა

ექიმი ზ. ნ. მაზაკიანი გადავიდა ახალ ბინაზე, სოლოლაკში, გებუთოვის ქ. № 38.

შინაგანი ბავშვთა სნეულებანი, სპეციალურად კუჭისა და ნაწლევების ავადმყოფობანი. ელექტროთერაპია იღებს დილის 10—11 ს. და საღამოს 5—7 საათამდე. ტელეფ. № 388. 1053

ექიმი ი. ი. ბერიშვილი სწამლობს საშარდე ორგანოთა, თეთრ მოსავლისა და კანის ავადმყ. ვასსერმანის რეაქციით ...ქალ. თაა... შინგ. მიუწამლ. სისხლ. მიღება ნაშუადღ. 3 — 5½ ს. ელისაბედის ქ., № 94, კონიაკის ქარხნის ახლოს, სტოლტო განყოფ. პირადად.

ექიმი ნ. ნ. ჯავახიშვილი

ორდინატორად ნამყოფი კიევის წერ. ვების კლინიკაში.

იღებს ნერვებით ავადმყოფებს საღ. 5—7 ს.-მდე. ჩერქეზიშვილის ქუჩა, № 12. იქვე გამართულია ელექტრონის სამკურნალო კაბინეტი. 1011

ექიმი ქალისა ნინო რცხილაძე, გადავიდა მოსკოვის ქუჩა № 9. იღებს დილით 9—2 ს., საღ. 5—7 ს.

ექიმი შ. ა. მიქელაძე მიიღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 6 საათიდან 7 საათამდე მიხაილოვის პროსპექტი № 117. ტელეფონი 8—16

ექიმი ა. ნ. დიასამიძე კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე ნაშუადღ. 2—3 საათ., საღ. 6—7 ს. ხუთშაბ. მხოლოდ დილის 8—9 ს., კვირ. ავადმ. არ იღებს. მოსკოვის ქუჩა, № 3, სახ. გაბაშვილისა.

# ექიმი ივ. გომართელი

მიიღებს ავადმყოფებს ბორჯომში, პირველ ივნისიდან პირველ ენკენისთვემდე. 4.4

ექიმ ლ. ლ. გოცირიძის

# სამკურნალო ქალ. ბაქოში

მუდმივ საწოლებით:

სნულით-ავადმყოფებისა, ავზნიანებისა და ლოთებისათვის.

ფასი მთრიგებით.

ადრესი: Баку, магазинная, № 50. 1084

# ვასწავლი

ქართულ

„სიმღერა - გალობას"

მიღება და ჩაწერა მიხეილ კავსაძესთან, სამშ., პარასკ. 5—8, კვირაობით მუშებისათვის 3—6 ს. ვისაც გუნდის მიწვევა ჰსურს, ვთხოვთ პირადათ მომართოთ. ადრესი: ჩერქეზიშვილის, ანუ ავჭალის ქ. № 29, სამოქალაქო სკოლის შენობაში. 1228

ქ. ბორჯში

ექიმი (დოქტორანტი). ზ. დ. წინამძღვრიშვილი

ორდინატორი ხარკოვის უნივერსიტეტისა და სამედიცინო ინსტიტუტის ...ნაგან სნეულებათა კლინიკებისა.

...შინაგანი და ბავშვთა სნეულებანი, ავადმ... ...ნი გულისა, ფილტ. და სისხლის ...დ. იღებს დილის 9—12 საათამ.

...ლოში, დანარჩენ დროს სა... ...სა ქალების გიმნაზ... ...


# ტფილისი 30 მაისი

საზოგადო კრებები და ქართველი საზოგადოება.

მაისი ქართულ დაწესებულებათა საზოგადო კრებებისა და ქართველ ნაფიც ორატორთა მჭერმეტყველების სავარჯიშო თვეა. თითქმის ყველა ჩვენ საკულტურო და სხვა საზოგადოებრივ დაწესებულებებს კრებები მაისში აქვთ ხოლმე. არიან ადამიანები, რომელნიც თავიანთ მოვალეობას დიდის პედანტიზმით ეკიდებიან და ცდილობენ, არც ერთს ასეთს კრებას არ დააკლდნენ. ფრიად სიმპატიური და სასარგებლო პედანტიზმია. სხვა ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, მას ის სარგებლობა მაინც მოაქვს, რომ ასეთი პირები დიდს გამოცდილებას იძენენ და წლითი-წლობით რწმუნდებიან, რანაირნ ხასიათისაა ეს კრებები. ჰკითხეთ ამისთანა პედანტს და იგი ფოტოგრაფიულის სინამდვილით გეტყვით, ვინ დაესწრება კრებას და ვინ რანაირ სიტყვას იტყვის. უფრო მეტიც. იგი წინასწარმეტყველურის შორსმჭვრეტელობით აგიხსნით, რომ კრების გახსნისთანავე რომელიმე ორატორი გამგეობას ან სათანადო ხელმძღვანელ ორგანოს უსაყვედურებს, რატომ ანგარიშები ადრე არ დაიბეჭდა და თავის დროზე არ დაეგზავნა კრების მონაწილეებსაო. რა შეგიძლიანთ უპასუხოთ ასეთს სამართლიან საყვედურზე? მხოლოდ ერთი: შემდეგში ასე არ იქნებაო. გამოუცდელი წევრი საზოგადოებისა ნეტარ სიტკბოებას იგრძნობს ამ საყვედურის გამო, ტბილი ჟრუანტელი დაუვლის ტანში, რა წამს მოაგონდება, როგორა სწუხან კრების მონაწილენი, ანგარიშები თავის დროზე რომ არ დაიბეჭდა და ამით საშუალება მოესპო უფრო კარგად გასცნობოდნენ საქმეს. მაგრამ პედანტი სრულიად დამშვიდებულია, მან ძალიან კარგად იცის, რომ ანგარიშები გვიანაც დაბეჭდილა, ადრეც, იცის, რომ ამის და მიუხედავად, ზემოხსენებული ტრაფარეტული შეკითხვა და საყვედური მაინც ყოფილა. მაგრამ პედანტმა მარტო ეს არ იცის, იმან ბევრი რამ კიდევ სხვა იცის. იცის, მაგალითად, რომ ხშირად იმავ ორატორს, რომელსაც შეკითხვითა და საყვედურით მიუმართავს ხელმძღვანელ ორგანოსთვის, არც შემდეგ გადაუფურცლია ანგარიშები და ზეპირად ლაპარაკობს, ლაპარაკობს ისე, როგორც სული წმინდა უკარნახებს.

სრული მოუმზადებლობა, სრული უცოდინარობა იმ საქმეებისა, რომელთა განხილვასაც ცდილობს საზოგადოება,—აი დამახასიათებელი თვისება ჩვენი კრებებისა. ამიტომ არის, რომ დასაბუთებული სიტყვებისა და საქმიანი მსჯელობის ნაცვლად ჩვენა ვხედავთ ან სრულიად უსარგებლო და უაზრო შეკითხვებს, ან უალაგო პათეტიზმს და ცრუკლასიკურ პოზას, ან დაბალი ღირსების კინკლაობას. ლაპარაკობს ყველა, ვისაც კი ლაპარაკის სურვილი აქვს, ერთხელაც არ შეეკითხება თავის თავს, რამდენად საჭიროებს მის მჭერმეტყველობაში ესა თუ ის დაწესებულება.

აიღეთ რომელი საზოგადოებაც გინდათ: ბანკი, ქართული გიმნაზია, კულტურულ—განმანათლებელი და სამეცნიერო დაწესებულებანი. თვითეულ მათგანს სამოქმედოდ იმდენად ფართო ასპარეზი აქვს შემოფარგლული, რომ დიდს შრომასა და ენერგიას მოითხოვს. შეადარეთ ამ საზოგადოების მიზანთა სირთულე და სიდიადე იმ სიჩატეს, რომელსაც საზოგადო კრებებზე ვხედავთ, და ერთბაშად დარწმუნდებით, რომ ჩვენ ძალიან ხალვათად ვეკიდებით საქმეებს. წრევანდელი კრებებიც სწორედ ამნაირი ხასიათისა იყო.

ნურვინ იფიქრებს, თითქოს ყოველივე ეს ისეთი წვრილმანი იყოს, რომ აღსანიშნავადაც კი არა ღირდეს. ასეთი სიხალვათე საზოგადო საქმეებისადმი გასახრწნელად მოქმედებს თვით დაწესებულებებზე და ყოველგვარ მოულოდნელ შემთხვევების მსხვერპლად ხდის. რამდენადაც სერიოზული იქნება დამოკიდებულება საზოგადო დაწესებულებებისადმი, იმდენად ძნელია მისი დაღუპვა.

ის კი, ვინც კრებაზე გასართობად მიდის და არა სერიოზული საქმიანობისთვის, რომელიც ხანგრძლივ შრომას მოითხოვს, ვნების მეტს არაფერს მოუტანს საზოგადო საქმეს.

# ხარკევი

ოქტომბრისტებს გაზეთი „გოლოს მოსკვი" ურჩევს თავის თანამოაზრეებს, თავი გაანებონ ყოველგვარს ოცნებას და ცრუ იმედებს; განსაკუთრებით შეუძლებელია რაიმე ნაყოფიერი მუშაობა, სანამ არსებობს სახელმწიფო საბჭო.

„დათმობას და უკან დახევას არ შეუძლიან გამარჯვება მოგვიპოვოს. უკეთეს შემთხვევაში შეიძლება მხოლოდ კონტრაბანდით გატარება კანონებისა პოლონეთის საქალაქო მართველობის და სავოლოსტო ერობის შესახებ და ისიც დამახინჯებულის და შეკვეცილის სახით. მაგრამ ეს ვერ შექმნის ახალს ცხოვრებას, ვერ გამოიყვანს ქვეყანას გზაზე, ვერ გაჰფანტავს უიმედობის ღრუბლებს.

არა, „ახალი კურსის" გზა იქ კი არაა, სადაც მთავრობა დაეძებს. იგი სხვაგანაა, სხვა მხარეს, რომელსაც დიდიხანია მიუთითა პროგრესიულმა საზოგადოებამ. მაგრამ ამას ყურადღებას არ აქცევენ და აღარსად სჩანს სალსარი ხანგრძლივი კრიზისის გადასაწყვეტად."

ეტყობა, რუსეთის საქმე ცუდათაა, თუ ოქტომბრისტების გაზეთსაც აღარა სწამს რა დღევანდელი მთავრობასა და უიმედოდ შესცქერის მომავალს.

# სახელმწიფო სათათბირო

(დეპეშ. პეტერ. სააგენტო)

28 მაისის სხდომა.

როძიანკო თავმჯდომარეობს, შემდეგ ვარუნ-სეკრეტი.

სამთო დეპარტამენტის ხარჯთ-აღრიცხვას იხილავენ.

ხაუსტოვი. სამთომადნო მუშების მდგომარეობა საქარხნო-სამრეწველოების უკანასკნელ პირობებში მყოფ მუშების მდგომარეობაზედაც უარესია. სამთამადნო მუშები სამუშაოს გაურბიან, რადგანაც იქ თორმეტ საათის სამუშაო დღეა სულ უმცირესის ხელფასით; ისინი წელიწადში საშუალოდ 330 მანეთს ღებულობენ, მაშინ როდესაც საფრანგეთის სამთომადნო მუშა 500 მანეთს აღწევს, შეერთებულ შტატებში 1000 მანეთს. მთამადნის პატრონებს ძლიერი საბრძოლველი კავშირები აქვთ შეკრული, მთამადნის მუშებს კი ათასი დაბრკოლება ეღობება წინ როგორც ადგილობრივ ისე ცენტრალურ მთავრობისაგან შეკავშირების საქმეში.

გოდნევი მოხსენებას კითხულობს ვაჭრობის სამინისტროსას, ზღვაზე მიმოსვლისა და ნავსადგურებისას. კომისიას ხარჯთაღრიცხვა 833,556 მანეთით შეუმცირებია. კომისიას ყურადღება მიუქცევია იმ გარემოებისათვის, რომ 1917 წელს რუსეთ-გერმანიის სავაჭრო ხელშეკრულებას ვადა გასდის. ხელშეკრულობის განახლება ხელსაყრელი იქნება რუსეთისათვის მაშინ, თუ დროზედვე გამოიკვლევენ ამ საქმის ხელშემწყობ და შემბორკველ მიზეზებს.

ბარონი ფელკერზამი. ბალტიის მხარეში გერმანელი მოახალშენენი გერმანიიდან კი არ მოსულან, არამედ ეხლა გადმოდიან რუსეთის შიდა გუბერნიებიდან. ბალტიის მხრის გერმანელები მტკიცე მონარქისტები არიან, მტკიცედ ადგანან რუსეთის მთლიანობისა და გაუყოფლობის აზრს, არავითარ პოლიტიკურ ავტონომიას არ ესწრაფვიან და რევოლუციის ... შეჩერებულა მათი მოსახლეობის ...ჯნაზე. მათში არავითარი პანგერ... ნიული მოძრაობა არ არის. მაგრამ გერმანელები თავისი ეროვნებ... ხელს ვერ აიღებენ. სახელმწიფოს ძლიერება ერთფეროვნებაში კი არ... მთლიანობაშია.

სათათბიროს კომისიას გადა... ეკატერინოსლავის მებულკეთა ... ფიცვებში პოლიციელის ჩარევ... გამო შინაგან საქმეთა მინისტრისად... მი შეკითხვა.

სამხედრო მინისტრისადმი სწრაფ... შეკითხვაა განსახილველი, პეტრ... პავლოვის ციხის კომენდანტის ... კარგულების გამო, რომლის ძალ... თაც ჟანდარმის უნტერ-ოფიც... შვილი გაუწკეპლიათ.

დარბაზში დეპუტატთა საკმაო ... ცხვი აღარ აღმოჩნდა, რის გამო... შეკითხვის განხილვა გადაიდო ... ღამოს სხდომისათვის.

საღამოს სხდომაზე ვარუნ-სეკრე... ტი თავმჯდომარეობს.

სახელმწიფო მიწების დეპარტ... მენტის ხარჯთ-აღრიცხვას იხილ... ვენ.

თ-დი მანსირევი ბარონ ფელკე... ზამს უპასუხებს. ბალტიის მხარე... ყოველწლივ ათასობით ემატება ახა... ლი გერმანელი მოახალშენე. ა... ჯეროვანი ყურადღება უნდა მიე... ცეს, რადგანაც ასეთი მოძრაო... თანდათან იზრდება. ბარონი ფე... კერზამი მართალი არა ბრძანდება, როდესაც ამბობს ამ მოძრაობას მხ... ლოდ ეკონომიური ხასიათი აქვსო... პირიქით ეს მოძრაობა ნამდვილი ... ბრძოლი ნაციონალიზმით არის გა... ღენთილი. მათ ყველაფერი სძულ... რაც კი გერმანული არ არის. მეორ... მხრით რუსეთის მთავრობა ბალტი... მხარეში რომ რუსებს ასახლებ... ამითი მიწის სივიწროვეს უფრო ა... წვავებს. ასეთ ზომებისთვის მთა... რობა მადლობას მიიღებს ბალტი... მხარის მხოლოდ იმ მცხოვრებლები... სას, რომელნიც თავის შვილებს უც... ხოეთის კადეტთა კორპუსებში ზრდი... ან, შემდეგ კი უცხოეთის სამხედრ... სამსახურში შეჰყავთ (ტაში მარცხ... ნივ).

კალინინი. მთავრობას რომ გლეხკაცობის მდგომარეობის გაუმჯობესება ჰსურდეს, ყველაზე უწინარე... მიწებს მიუზომავდა გლეხებს.

პუშჩინი. ნაციონალისტები სია... მოვნებით ეგებებიან დეპარტამენტ... სასარგებლო და ნაყოფიერ მუშაო... ბისათვის და განსაკუთრებით მნიშ... ნელობას აძლევენ იმას, რომ დეპა... ტამენტი მიწებს ჯგუფობრივ კი არ... არიგებს, არამედ კერძო პირებზე.

პეტროვსკი. არავითარ კერძო კე... თილდღეობა არ უშველის მილიონ... გლეხკაცობას, რომელნიც მიწის სიმ... ცირის გამო მემამულეების ყურმო... ჭრილ ყმებად ხდებიან.

ბარონი მეიენდორფი. თ-დ მანსირევს უპასუხებს. 1905 წ. სარევოლუციო მოძრაობის შემდეგ, ლა... სკამები უკვე დაემზადებინათ. ჩვენ შემოვიდა დირექტორიც და თან შემოიტანა დიდი რვეულები. თითოეულ ავადმყოფზე ცალკე რვეულია შედგენილი. იქ არის აწერილი მთელი თავ-გადასავალი ავადმყოფისა, მთელი მისი ცხოვრება და ქცევების დაკვირვება. ამ მხრივ დიდი მასალა უნდა იყოს მოგროვილი ლიერნეს სულით ავადმყოფთა თავშესაფარის არქივში. „მართალია, სამხიარულოს და სასიამოვნოს აქ ვერაფერს ნახავთო, მოგვმართა დირექტორმა,—სამწუხაროს კი ბევრსა, რაც ვქნათ შეუძლებელს ვერ შევძლებთ, მაგრამ შეძლებისა დაგვარად მაინც ვცდილობთ მათი მწარე ხვედრი შევამსუბუქოთო". შემდეგ განგვიმარტა სულით ავადმყოფობა, მისი მიზეზი, გაგვაცნო სხვადასხვა დარგი შეშლილობისა. სულით ავადმყოფებს საზოგადოდ ორ დიდ ნაწილად ჰყოფენ. ერთი, ვინც დაბადებითვე ჭკუანაკლებია, ხოლო მეორე ვინც დაბადებით სრულებით საღი იყო, მაგრამ შემდეგ სხვადასხვა მიზეზისა გამო, შეიშალა. ერთიც და მეორეც იყოფა მრავალ დარგებად, იმის დაგვარად, თუ ვის რა ზომამდე აკლია ჭკუა-გონება ან ვინ რა ზომამდე შეშლილა. იმის გამოსარკვევად, ვის რა ზომამდე აკლია ჭკუა-გონება, სხვა და სხვა საშუალებას ხმარობენ. ჯერ გამორკვეულია, გამოცდილებით რა თქმა უნდა, თუ როგორი უნდა იყოს საღი ადამიანი საშუალოდ. გამოკვლეულია მაგალითად, თუ რა და რა უნდა იცოდეს გონებით საღმა სამი წლის ბავშმა, ხუთის წლისამ, ათისამ, თუთხმეტისამ და სხ. საეჭვო პირს დაუსვამენ სხვადასხვა კითხვებს, უჩვენებენ სხვადასხვა ნახატებს და მიღებული

# შეშლილთა სამეფოში

(წერილი ბრიუსელიდან).

(გაგრძელება *)

ამას წინად ბ. ლეისავე ხელმძღვანელობით ვიყავით ფიზიოლოგიის პროფესორის ბ. ლეჟეს ლაბორატორიაში. პროფესორმა ლეჟემ გვაჩვენა მტრედი გარეგნობით სრულებით საღი. იდგა მხოლოდ ერთ ადგას უძრავად. პროფესორმა უაქშია, მაგრამ მტრედი არც კი შეინძრა. წინ საკენკი ეყარა, მტრედი არავითარ ყურადღებას არ აქცევდა. პროფესორმა თავში ხელი მოავლო ნისკარტი საკენკთან მიუტანა, მაგრამ მტრედი მარცვლის მაგივრად თითქო ქვას შეეხოო. საქმე იმაშია, რომ ამ მტრედს ხელოვნურად ამოღებული ჰქონდა ტვინის ის ნაწილი, რომელიც განაგებს მოძრაობას და საჭმლის არჩევას. მაგრამ როცა პროფესორმა აიღო ერთი მარცვალი მტრედს ნისკარტი გაუღო და პირში ჩაუდო, მტრედმა სიამოვნებით გადაყლაპა, რადგან გემოვნების და ჭამის გამგე ნერვები მრთელი ჰქონდა. მეორე მტრედს, სრულიად საღს ჩვენ თვალ წინ ნემსით ცოტა უჩხვლიტა თავში სწორედ ტვინის იმ ნაწილის პირდაპირ, რაც განაგებს ფეხზე დგომის და სიარულის სისწორეს. მტრედმა მაშინათვე საცოდავად ფართხალი დაიწყო. სხვაფრივ არა უჭირდა რა, მხოლოდ ფეხზე ველარ დგებოდა. ახლა ადვილი მისახვედრია, თუ რისთვისაა, რომ მთვრალი კაცი გზაზე სწორედ ვერ მიდის, ხოლო ძლიერ მთვრალი სრულებით ფეხზე ველარ დგება ხოლმე; ეტყობა ალკოგოლი მოქმედობს, განსაკუთრებით ტვინის იმ კუნჭულზე, რომელიც სიარულის სისწორეს და ფეხზე სწორე დგომას განაგებს.

ყოველგვარი შეშლილობაც ტვინის ამა თუ იმ ნაწილის მოშლაა. თუ სად, ან რა ზომამდე უზიანდება ადამიანს ტვინი, იმის დაგვარად და იმ ზომამდე იჩენს თავს შეშლილობა. მაშ ცხადია რომ შეშლილის მოსარჩენად ყოველგვარი შელოცვა, ზვარაკები და შესაწირავები სრულებით უნაყოფოა, თითქმის უნაყოფოა სხვა და სხვა ბალახ ბულახისაგან შეზავებული წამლები, ხოლო შეშლილის გალიზიანება, ცემა და ბაბმა, ხომ ბარბაროსობაა. ერთად-ერთი გონივრული საშუალება შეშლილის მოსარჩენად, ჯერ შესწავლაა მისი ავადმყოფობისა, თუ რა ადგილი, ან რა ზომამდე აქვს ტვინი დაზიანებული და მერე იმის დაგვარად მოვლა-პატრონობა. თუ იმდენად დაზიანებულია ტვინი, რომ მისი სრულებით გამთელება შეუძლებელია, გონიერი მოვლით ავადმყოფის სამწუხარო ხვედრის შემსუბუქება მაინც შეიძლება.

მაგრამ აი უკვე შევედით თავშესაფარში.

თავშესაფარი გაშენებულია სოფლის შუაგულ მაღლობზე. მთავარი შენობა დიდია სამ სართულიანი. ეზოში ბაღია გაშენებული დიდი ჰაუზით, სადაც ვარსკვლავის მსგავსად სჩქეფს შადრევანი. ვესტი-ბიულში დაგვხვდა თავშესაფარის დირექტორი ცნობილი ფსიხიატრი ბ. მასსო, ექიმებით და მოსამსახურებით. ჩვენი პროფესორი მასსოს კაი მეგობარია. გაცნობის და სალამ-ქალამის შემდეგ ჩვენ მიგვიწვიეს ერთ დიდ დარბაზში, სადაც ჩვენთვის

*) იხ. „სახ. გაზ.", 115.

ბას არ მოსწონს მომხდარი ფაქტები, და სცდილობს ყოველივე ექვი აიცდინოს თავისი მოქმედების გამო. ბასა ჰსურს მისპოს წარსული უთანხმოება და მეზობლებთან საუკეთესო განწყობილება დაამყაროს, რათა მაკედონიაში ბულგარული ელემენტი გაძლიერდეს. რაც შეეხება დამნაშავეთ, ისინი აღმოჩენილი იქნება და შესაფერ სასჯელსაც მიიღებენ".

**სოფია.** მაკედონიიდან გაქცეულთა ჯგუფი შევიდა ბერძნულ სასტუმროში და შეეცადა კედლიდან ბერძნულ სურათების ჩამოყრას. ინციდენტი სწრაფ გაიზარდა. არეულობაში მონაწილეობა მიიღეს ყველამ მაკედონიიდან გაქცეულებმა, რომელნიც სოფიაში იმყოფებიან. მაკედონელები ერთ ბერძენ ნოტაბლის ბინისაკენ გაემართნენ, მაგრამ პოლიციელებმა ისინი გაჰფანტეს. სალამომდე წესიერება აღდგენილ იქნა. ექვსი მანიფესტანტი შეიპყრეს.

**სოფია.** პოლიციის პრეფექტი გადააყენეს, რადგანაც მან ბრბოს წინააღმდეგ ზომები არ მიიღო, და მათ ბერძნული ეკლესიები დაიპყრეს.

**ტოკიო.** უარჰყვეს ცნობა მექსიკაში იაპონიის ელჩის შეპყრობისა. შეიპყრეს სოციალისტი ფუკუდა, რომელმაც პროკლამაცია გამოუშვა, სადაც მოუწოდებდა მუშათა კავშირის მოსაწყობად.

**თავრიზ.** გენერალ ანრის ერთ კოლონას შეჯახება ჰქონდა მოწინააღმდეგესთან, რომელიც გაჰფანტვია. ფრანგებს 4 მოუკლეს და 4 დაუჭრეს.

**რომი.** დეპუტატთა პალატაში სანჯულიანომ უპასუხა პოლკოვნიკ მურიკიოს შეპყრობის კითხვაზე. მან განაცხადა, რომ ალბანეთის მმართველმა და მთავრობამ უკვე დააკმაყოფილა მთავრობა.

### საყოველთაო გაფიცვები იტალიაში.

**რომი.** საყოველთაო გაფიცვები გამოცხადებულია ბარიში, ბალონასა, ბრესიასა, ფლორენციასა, ფორლისა, გენუასა, ლივორნოსა, მილანსა, მედონასა, პარმსა, პეზაროსა, პიზასა, ვიარეჯიოსა, ემილიასა, ჩივიტავექიასა, ტურინსა და ვენეციაში. წესიერება დაცულია. ფლორენციაში პოლიციელებს ქვებს ესროდნენ, რის გამოც ისინი იძულებულნი გახდნენ იარაღისათვის მიემართნათ. მანიფესტანტებისაგან ერთი მოკლულია; რამდენიმე პოლიციელი დაიჭრა. შეტაკება აგრეთვე ვენეციაშიც მოხდა. ტურინში მანიფესტაციები ქალაქის რამდენიმე ალაგას მოხდა. დაჭრილთა 25 პოლიციელი, ერთი მანიფესტანტი მოკლულია, 8 დაჭრილი. იმოლაშიც გაფიცვა გამოაცხადეს. მიტინგის შემდეგ ხალხმა ლიანდაგი გააფუჭა, რათა ბოლონიიდან მატარებლების მიმოსვლისათვის ხელი შეეშალათ. გაიგზავნა ქვეითა ჯარისა და კარაბინერების ერთი როტა.

იმოლას რკინის გზის სადგურზე სატელეგრაფო მანქანები გააფუჭეს. რომში გაფიცვა მთელს დღეს გაგრძელდა. საღამოთი მრავალრიცხოვანი ბრბო იდგა შრომის პალატის ირგვლივ; ხალხი ელოდა კომიტეტის დადგენილებას და ცნობებს: ნება დართულია თუ არა მიტინგი. მდივანმა წინადადება მისცა დაშლილიყვნენ, რის შემდეგაც ათასი კაცი ალექსანდრიის გზით გაემართა. პოლიციელებთან და ჯარის კაცებთან შეტაკება მოუხდათ, მანიფესტანტები გაჰფანტეს, ნაწილი კვენციის მოედნისაკენ გაემართა, სადაც ხელმეორედ იქნა გაფანტული. რამდენიმე კაცი დაიჭრა.

**ფლორენცია.** მრავალ რიცხოვანმა ბრბომ ქალაქის ქუჩებში გაიარა საპროტესტო ყვირილით გაფიცულთა ძალადობის წინააღმდეგ. საპრეფექტო შენობის წინ პატრიოტული მანიფესტაცია მოახდინეს.

**ანკონა.** მოეინის გზების სამმართველომ ორი მატარებელი გაგზავნა ჯარის კაცთა ზედამხედველობით. მაგრამ მატარებლები უკანვე დაბრუნდნენ, რადგანაც ლიანდაგი ერთობ გაფუჭებული აღმოჩნდა გაფიცულთა მიერ. მოვიდა ორი კრეისერი და სამი ნაღმოსანი.

**პარმა.** ჯარებმა რამდენჯერმე გაჰფანტეს გაფიცულები. რამდენიმე კაცი შეიპყრეს. ჯარისკაცთა შორის დაჭრილებია.

**ბარი.** გაფიცულთა ჯგუფები დილით ქუჩებში დაიარებოდნენ, და მაღაზიების დაკეტვას მოითხოვდნენ. პოლიციელები მათ ჰფანტავდა. უკანასკნელნი კი პოლიციელებს ქვებს ესროდნენ. დაჭრილია 12 პოლიციელი.

**ანკონა.** კვირის შეტაკების მსხვერპლთა დამარხვის დროს პროცესიიდან რევოლვერის ხმები მოისმა. პროცესიის ერთ-ერთ მონაწილეთაგანმა რევოლვერი დაუშინა იმ შენობის ფანჯრებს, სადაც ექიმი ბარიეტი სცხოვრობს. ჰფიქრობენ, რომ პირველი სროლა ამ ფანჯრებიდან მოხდა, მაგრამ ეს ტყუილი გამოდგა. ფანჯარასთან მდგომი ექიმი ვენიტიო თავშია დაჭრილი, აგრეთვე მძიმედაა დაჭრილი რამდენიმე კაცი.

**ნეაპოლი.** მანიფესტანტებმა ქვები დაუშინეს არტილერისტებს, რომელნიც რკინის გზის დეპოს შენობაში იყვნენ. რამდენიმე სალდათი დაიჭრა. ამის გამო ჯარის-კაცები ქუჩაში გამოვიდნენ და თოფები გაისროლეს ჰაერში. ხალხი გაიქცა. არეულობის დროს ერთი კაცი დაიღუპა. მანიფესტანტები შეეცადნენ თამბაქოს ქარხნის გადაწვას, მაგრამ მათ პოლიციელებმა შეუშალეს ხელი.

**პალერმო.** ღამით საყოველთაო გაფიცვა გამოაცხადეს.

**ტურინი.** შრომის პალატის წინ დიდი მიტინგი მოხდა, რომელშიაც რამდენიმე ათასმა კაცმა მიიღო მონაწილეობა. მიტინგის მონაწილენი პროცესიით გაემართნენ ქუჩებში და მშვიდობიანად დაიშალნენ.

**რომი.** მიუხედავად გამოცხადებულ სარკინისგზო გაფიცვისა, მატარებლების მოძრაობა თითქმის ნორმალურად მიმდინარეობს. მოძრაობა შესწყდა მხოლოდ ანკონასა და ბოლონიას შუა, რადგანაც ლიანდაგი გაფუჭებულია.

**რომი.** ჯარების პატივსაცემლად შესდგა მიტინგი რამდენიმე ათას მცხოვრებისა. მანიფესტანტები ჰიმნის ძლერით ქუჩებში გაემართნენ; მათ აღტაცებულის ძახილით ეგებებოდნენ. ბევრ ფანჯარაში საეროვნო ბაირაღები იყო გამოკიდებული.

**რომი.** დეპუტატთა პალატაში სალანდრამ განაცხადა, რომ იგი შორსაა რეაქციაზე ფიქრისაგან; მომხრეა ყველა თავისუფლებისა; მაგრამ თავის მოვალეობად სთვლის ზომები მიიღოს ყველას წინააღმდეგ, ვინც მას შეეხება.

### რუსეთი.

**პეტერბურგი.** სასამართლომ 6 კვირის ციხე და 300 მან. ჯარიმა მიუსაჯა „ბირჟევაია ვედომოსტის" რედაქტორს საზანოვს ჯაშუშის შეპყრობის შესახებ ცნობის მოთავსებისათვის და აგრეთვე ორი თვე— წერილი „უცნაური შუამდგომლობისათვის", რომელშიაც ქალაქის მოურავს ეხებოდნენ.

**კიევი.** გერმანელი კოლონისტები მრავლად ბრუნდებიან უკანვე გერმანიაში, სადაც აპირებენ იმ ბინებზე დასახლებას, რომელიც მათ შეისყიდეს პოლონელ მემამულეთაგან.

**ეკატერინოსლავი.** შესდგა დამფუძნებელი კრება კაზაკების პირველ ბანკისა.

**კიშინევი.** ბენდერისა და ორგეევის მაზრებში სეტყვამ და წყალდიდობამ 4,161 დესეტინა ნათესი დაზიანა.

**მინსკი.** კაიდანოვოში გადაიწვა ხე-ტყის სახერხი ქარხანა და ორთქლის მომუშავე წისქვილი. ზარალი 100,000 მანეთი.

**ნიჟნი-ნოვგოროდი.** საერობო კრებამ დაამტკიცა მუზეუმის გეგმა საერობო იუბილეის აღსანიშნავად.

**ნოვოროსიისკი.** კავკავის რკინის გზის სამმართველომ შავის ზღვის კიდეზე გაიხსნა სანატორიუმი მოსამსახურეთათვის. აქვე იქნება ბავშვთათვის კოლონია.

## თეატრი და ხელოვნება

დღეს, 30 მაისს, ტფ. ქართ. დრამ. დასი, ვ. გუნიას მეთაურობით, გაემგზავრება გორს, სადაც გამართავს მხოლოდ ერთ წარმოდგენას. წარმოდგენილი იქნება ალ. ყაზბეგის ცნობილი ისტ. დრამა „ქეთევან წამებული". უმთავრეს როლებს შეასრულებენ: „თეიმურაზს"—ტ. აბაშიძე, „ქეთევან დედოფალი"—მ. მდივანი, „კონსტანტინე ბატონიშვილი"—ვ. გუნია, „შაჰ-აბაზს"—ალ. ყალაბეგიშვილი, „შერმაზინ"—ვ. შალიკაშვილი, „ქაიხოსრო"—დ. მგალობლიშვილი. დასს აქვს საკუთარი პარიკ-მახერია და ისტ. ტანთსაცმელი.

პიესას დასდგავს რეჟისორი ვალ. შალიკაშვილი. დასის წარმომადგენელია ვ. ურუშაძე. გორიდან დასი გაემგზავრება იმერეთის სხვა და სხვა დაბა-ქალაქებში.

## წერილი რედ. მიმართ

მ. ხ. ბ-ნო რედაქტორო! უმორჩილესად გთხოვთ ალაგი დაუთმოთ ამ მცირე წერილს თქვენი პატივცემული გაზეთის ფურცელზედ.

ჩვენ ტფილისის ქართული საამხანაგო მომღერალ-მგალობელთა გუნდის წევრები, შევიკრიბენით-რა 1914 წელსა 15-სა მაისს საგანგებო კრებაზე გუნდის ლოტბარის ბ. მიხეილ კავსაძის უტაქტიკო საქციელის შესახებ მოსალაპარაკებლად და მივიღეთ რა მხედველობაში, რომ 15 ამა მაისს ბ. მიხ. კავსაძის-მიერ ჩადენილი ყოვლად შეუწყნარებელი და უტაქტიკო მოქმედება პირველი არ არის, რომ ბ. მიხ. კავსაძე ძალიან ხშირად არღვევდა ამხანაგურს და საზოგადოებრივს ეთიკას და რომ გუნდის წევრებმა და გამგეობამ თავის მხრივ ყოველი ღონე იღონეს ბ. მიხ. კავსაძის ამხანაგურ გზაზე დასაყენებლად და თუ მათი ცდა უნაყოფო გამოდგა, ეს მხოლოდ მიხ. კავსაძის ბრალია— დავადგინეთ: ბ. მიხეილ კავსაძე გამორიცხულ იქმნას დღეის რიცხვიდგან გუნდიდან და ეს დადგენილება პრესის საშუალებით ეცნობოს საზოგადოებას. რაც შეეხება თვით მიხეილ კავსაძის საქციელს, რომელმაც გამოიწვია ეს ჩვენი დადგენილება, ის ჯერ არ გამოქვეყნდეს და ეცნობოს საზოგადოებას მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ბ. მ. კავსაძე თავის მხრივ ამოიღებს ხმას პრესის ფურცლებზედ. ხელს აწერენ თავმჯდომარე, მდივანი და გუნდის წევრნი.

ამასთანავე ამხანაგობა-გუნდი წინადადებას ვაძლევთ ბ. მ. კავსაძეს სამი დღის განმავლობაში ულაპარაკოდ ჩაგვაბაროს ქონება და კასსა გუნდისა, რაც, როგორც ამხანაგობის-გუნდის ხაზინადარს, დროებით ჰქონდა ჩაბარებული. დაბოლოვებით გუნდი აცხადებს, რომ თუ რაიმე ვნება მოუვიდა გუნდს-ამხანაგობას დღეის შემდეგ ამის დამნაშავე იქნება თვით მ. კავსაძე.

ვთხოვთ სხვა ჟურნალ გაზეთებს გადაბეჭდონ.

გუნდის მდივანი **ჩიტო ჭურთიშვილი**

## შემოწირულება

ტფილისის ქართულმა დრამატიულმა საზოგადოებამ მიიღო შემოწირულება **კ. მესხის** საფლავზე ძეგლის ფონდის გასაძლიერებლად, ქართველ ფარმაცევტთა შორის შეგროვილი ფული. შემომწირველთა სია:

სამი მანეთი: გვანცელაძემ, 2 მან. ანდრონიკაშვილმა, 1 მან. 50 კ. ფარმაცევტების ამხანაგობამ, თითო მანეთი. არაზოვმა, ალ. ძოწენიძემ, ონ. ახვლედიანმა, ალ. მეძმარიაშვილმა, გრ. მგალობლიშვილმა, ს. ნადარეიშვილმა, კ. ავალიანმა, ი. ობოლაძემ, ა. კანდელაკმა, კ. ჩარგვიშვილმა, ნ. ჩიკვაიძემ, ა. გოგორიშვილმა, ლ. ალხაზიშვილმა, თ. ჩიქოვანმა, ს. ნანეიშვილმა, ედიგარაშვილმა, კ. ჯაფარიძემ, ალ. მატარაძემ, ათ-ათი შაური: კორძახიამ, ი. ბადარეიშვილმა, შ. კვინიკაძემ, პ. ნარუაშვილმა, არ. მშვიდობაძემ, მალაფერიძემ, მ. ბერიძემ, ივ. შერმადიანმა. სულ 28 მან. 50 კ.

საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებას შემოსწირეს:

1) იულიანე დავითის ძემ მურვანიძემ: ოქრომკედით ნაქარგი ყაბალახი.

2) ნინა ვლადიმერის ასულმა გრუსჩინსკისამ: შავი ფული (ლაშა გიორგისა).

3) მარიამ სტეფანეს ასულმა თოროზოვისამ: თარგების ბოჩა.

4) სოფიო ასლანის ასულმა სახიევისამ; დიდი ვორონცოვის სურათი, ფერადებით ნახატი,

5) ანტონ ივანეს ძემ ნატროშვილმა: ა) ს. ფარხაჩანში ნაპოვნი ქილა, ბ) სამი ნაბეჭდი წიგნი („Мцхетъ и его соборъ Свети-Цховели, Иверскій монастырь на Аѳонѣ въ Турціи" და Памятная записка объ Иверскомъ монастырѣ на Аѳонѣ—халкидонскомъ полуостровѣ"), გ) სიგელი და გუჯარი (ხის ბუდეში), დ) ღვთისშობლის ხატი და ვ) რაღაც ქვა, რომელიც შემომწირველის აზრით საკერპო ცხოველს (ღორს) წარმოადგენს.

5) ნინო იაკინთეს ასულმა სიმონოვიჩისამ: ძველებური და საკრავი.

6) ნიკოლოზ მიხეილის ძემ წითელოვმა: ა) სამი შავი ფული (ქართული, ბიზანტიური და ძველი ბერძნული) და ბ) ორი მინანქრიანი აგური სახეებით შემკული,

7) ალ. სვ. ძემ კოშიაშვილმა (ახატნიდან): სამი შავი და ერთი თეთრი ფული (ძველებურები), ნაპოვნია ბერუანთ კარის ნასახლარებში (გადმოქცა მიხეილ ქაიხოსროს ძემ ყიფიანმა).

8) პავლე კოსტანტინეს ძემ ჰონიშვილმა: ორი შავი ფული, ბიზანტიური და რუსული, ს. სკრას იოანე ნათლისმცემლის ეკლესიის ნანგრევებში ნაპოვნი.

9) თავადის თარხნიშვილის ასულმა თებრონიამ: ა) ბუდე ქალალდებისა და ბ) ძველებური სათვალეები.

10) თავადის მაყაშვილის მეუღლემ, პელაგიამ: სადაფის ხატი (დამტვრეული).

11) დევდორიე ნიკოს ძემ გვილავამ: ორი თეთრი ფული (ერეკლესი) და ერთი მედალიონი ლითბრისა.

12) ჰოლიკაურმა ტარიელ ივანეს ძემ (თიანეთის მაზრის, სოფელ ნედოკრის მცხოვრებმა ხევსურმა): ფანდური, ძველ დროში ხუთ ძროხად ნაყიდი (მაშინ ძროხა ფასობდა თურმე ხუთ მანეთად):

**საზოგადოების საბჭო გულითად მადლობას უძღვნის შემომწირველებს.**

რედაქტორი ნ. **ქურდღელაშვილი.**
გამომცემელი **ა. ჯაჯანაშვილი.**

ფარებიათ. მშვიდად უტევებდა ტანჯულ სულ უბედური.

საბედნიეროდ ეს მოვლენა ხშირი არ არის, გვითხრა დირექტორმა.

შემდეგ შევედით ქალების საერთო დარბაზში. აქ მოგროვილიყვნენ თავისუფლად მოსიარულე შეშლილები. ერთი შეხედვით, ჩვეულებრივი, სადი ადამიანები გეგონებოდა. ზოგი წყნარა მუსაიფობდა, ზოგი სეირნობდა. დირექტორი გაჩერდა ერთი ქალის წინ.—როგორა ხარო, დაეკითხა.—გვარიანად, მაგრამ სული მოსვენებას არ მაძლევსო. ჩიტის სახით მოდის და თავში მიძვრებაო.—ნეტავ რა უნდაო?—ფულები უნდა მომტაცოსო.—გუშინ ჯოხს რად იქნევდიო? მინდოდა მეცემნაო.—მერე, მოგშორდაო?—დიახაც, მომშორდა, ჯოხი რომ დავარტყი დაიმალაო. ღმერთო ჩემო! ნეტავ ვის რა დავუშავე, რას მერჩიან, რა უნდათ ჩემგან, თავის დღეში არავისთვის სიკეთის მეტი ცუდი არ მიქნიაო. ესეც გალიუსინაციით შეპყრობილია. მეორე ქალი, ხშირად ...ვს ეკამათება. ერთი ახოვანი ...ნი ქალი, დარბაზს ნელნელა ...იდა და თან რაღაც სიმღე...ლ ღიღინებდა. ჩვენი მი...ობოდა, ძლიერ გაუკვირ... ყურადღებით აგვათვა...იერა. მგონი არც ...ით, რადგან ჩქარა ...ევ თავისი სე...უნდა.

...ვილი სა...

ლანი დიდად დაგვაინტერესა. ერთი საათის შემდეგ ისევ თავ-შესაფარის ეზოში ვიყავით. მიგვიწვიეს ... დარბაზში, სადაც ამას წინათ ვიყ...ვით. დარბაზის ერთი მხარე, ...ზე, შეშლილებით იყო გაჭედილი. მეორე მხარე ჩვენთვის დაეტოვებინათ. იმერული მაყრებივით მიუს ხედით ერთმანეთს პირდაპირ. დარბაზის ერთ-ერთ კუთხეში მაგიდაზე უშველებელი გრამოფონი იყო მოთავსებული. იქვე შორი-ახლო სკამზე იჯდა, კარგად ჩაცმული, ახოვანი კაცი. ეს დირექტორმა ეზოში შორიდან გვაჩვენა. წინეთ ჩითის საქსოვ ფაბრიკაში მსახურებდა თურმე. მას წინ პატარა მაგიდა ედგა და ზედ რაღაც ქაღალდები და საწერ-კალამი ელაგა. მის ცოტა მოშორებით მეორე მაგიდა იყო გამართული და ზედ წიგნები და დავთრები ელაგებული. იქ იჯდა ერთი გაჩხდარ-გაჩხდარი კაცი და იქვე მის გვერდით ახალგაზდა მეჩექმე. საბრალო, პატარძალივით ნაზად გამოიყურებოდა. შემოვიდა ჩვენი ნაცნობი ფერშალი. ის სული და გულია იქაური ცხოვრებისა. როგორც მითხრა უკვე თორმეტი წელიწადია რაც იქ მსახურებს და შეშლილთა ხასიათი ანი და ბანივით იცის.

ახოვანმა კაცმა მომართა გრამოფონი. დაუკრა რაღაც მარში თუ ჰიმნი. შემდეგ წამოდგა ფერშალი და წარმოსთქვა მშვენიერი სიტყვა. განმარტა ლოთობის მავნებლობა საზოგადო ცხოვრებაში და განსაკუთრებით სულით ავადმყოფობაში. სხვათა შორის სთქვა, რომ ლიერნოს სიფხიზლის საზოგადოება (კოლონია), ...ვრი ხანია რაც ებრძვის ამ ...ბრძოლასაც ნაყოფი კე...მამად შემიძლიან ...იარი სას-...მელების ხმარება უკვე მოსპობილია და თუ იხმარება, მხოლოდ ლუდი და ისიც ძლიერ მცირე, ძლიერ განსაზღრული ზომითაო. მე ბედნიერებად ვრაცხ ჩემ თავს აღვნიშნო ეს ამ უცხო სტუმრების წინაშე, და ახლა კი სიტყვა თავმჯდომარეს ეკუთნისო. წამოდგა გრამოფონთან მჯდომი კაცი და იმანაც წაიკითხა თავის მიერ დაწერილი სიტყვა ლოთობის წინააღმდეგ. რა ვიცი, შეშლილობა არც შინაარსს ეტყობოდა და არც წაკითხვას. ახლა კი მივხვდი თუ რაში იყო საქმე. თურმე ნუ იტყვით, თავ-შესაფარი წარმოდგენილია, როგორც სიფხიზლის კოლონია. სულით-ავადმყოფები შთაგონებულები არიან, რომ ისინი სიფხიზლის საზოგადოების წევრები არიან. ჰყავთ არჩეული თავმჯდომარე, მდივანი, საქმის მწარმოებელი, აქვთ წიგნები, დავთრები, იკრიბებიან, ბჭობენ, ოქმებს ადგენენ და სხვა. ერთი სიტყვით ყოველისფერი ისეა მოწყობილი, როგორც რომელიმე კულტურულ საზოგადოებაში. ამასთან ყოველისფერს თვით შეშლილები გახაგებენ და აწარმოებენ. თავშესაფარის მთავრობა საქმეში არ ერევა, მხოლოდ შორიდან ხელმძღვანელობს, და თუ, ვინცობა, საქე ძლიერ გზიდან მიბრუნდა, მაშინ შეეცდება შეუმჩნევლად ისევ სწორ გზაზე დააყენოს. ფერშალმა იმ დღეს, მგონი, ილაპარაკა უფრო იმიტომ, რომ ჩვენ გაგვეგო თუ რაში იყო საქმე. ის ლაპარაკობდა სრულებით დინჯად, საქმიანი კილოთი, მხოლოდ ხანდისხან ჩვენსკენ რომ გადმოიხედავდა, ტუჩებზე ოდნავ შესამჩნევი ღიმი გადურბენდა ხოლმე.

**უიარაღო.**

(შემდეგი იქნება)




**თუ გნებავთ** იქონიოთ მუდამ სწორედ მოსიარულე და მკვიდრი საათი, გირჩევთ ჩვენგან დაიბაროთ ახლავე. არაფერს წააგებთ, რადგანაც ფულს უკანვე დაგიბრუნებთ, თუ ამ ფასად არ ეღირება.

**დაიბარეთ და დარწმუნდით.**

კაც. უბ. დია საათი, ანკერი, პატენტ. 1 ხარისხ. შავ ნაწრთ. ინგლის. ფოლად. წკრიალა, ქვებიანი. იმართება ბულდით 36 საათში ერთხელ, მუდმივი პრუჟ. და 6 წლის თავდებობით. თითოეულ საათს თან ვაყოლებთ ელეგ. უხუნო ძეწკვს ბრელოკით და ზამშ. ბუდით უფასოთ. რადგანაც პირველი ხელიდან მიღებული გვაქვს დიდძალი საათები, ამისათვის შეგვიძლიან საარაკო იაფად ვყიდოთ: მხოლოდ 1 ც.—2 მ. 25 კ., 2 ცალი—4 მ. 25 კაპ., 3 ც.—6 მ. ვგზავნით ფასდადებით და უბეოდ. გასაგზავნი 40 კ. ციმბირში 80 კ. დაკვეთა უნდა შეუთვალოთ ასეთი მისამართით:

Фабр. Ш. Штейнвассеръ, Варшава, Панская 31—133. მიწერ-მოწერა რუსულად და გერმანულად. М. 32747 1235

**ს. ა. გრიაზნოვი ამზადებს**

გიმნაზიის, რეალურ და კომერციულ სასწავლებლის დაბალ, საშუალო და მაღალ კლასებისათვის, სამხედრო და მიწის-მზომლის საწ. პირველ კლასისთვის და სხვა და სხვა მოწმობებზე. იყვანს სრულ პანსიონზედაც გერმ, იზმაილოვის შესახ. (ბელინსკ. ქუჩიდან). № 6 მესამე სართული 365

## ნევრასთენია

და ნერვიული სნეულებანი, სქესობრივი უძლურობა, ნევრალგია, ხერხემლის ტვინის გაფიტვა, სიდამბლე, გულის სნეულებანი, მოხუცებულობის დაუძლურება და სიგამხდრე ადვილად იკურნება პულას სპერმინით, რასაც ადასტურებს მწერლობაში გამოქვეყნებული მთელი ქვეყნის გამოჩენილ ექიმთა დაკვირვებანი.

პულას სპერმინი ერთად-ერთად ნამდვილი ნაცადი სპერმინია. ამისათვის ყურადღება უნდა მიაქციოთ სახელწოდებას **სპერმინი პულასი** და ხელი აიღოთ ყველა ყალბ მიმართულებაზე, როგორც ყოვლად უვარგის მიბაძულებაზე, რომელნიც არც შემადგენლობით, არც გავლენით პულას სპერმინთან საერთო არა აქვთ და ხშირად ჯანმრთელობისათვის მავნებელ შემადგენლობას შეიცავენ.

მსურველთ უფასოდ ეგზავნებათ წიგნი „სპერმინის სამკურნალო გავლენა". ხოლო ვისაც მთელი ორგანოთერაპია აინტერესებს, 4 შვიდ-კაპეიან მარკის გამოგზავნით ეგზავნებათ ეხლა ხან გამოსული წიგნი „ორგანიზმის სამკურნალო ძალანი".

სპერმინ-პულასი იშოვება ყველგან. Метцль и К-о. 8699. 1016

**პროფესორი** ექიმი **პული** შვილებით **ს. პ.-ბ.**
მის იმპერატ. უდიდ. უმაღლესობის სასახლის მოიჯარადრენი.

## მემონავსარდიანის

პირველი კერძო
**სამკურნალო**
(დაარსებულია 1880 წელს)
ვერონცოვის ძეგლის პირდაპირ.
ავადმყოფების მიღება ყოველ დღე გარდა კვირისა.
**დილით:**
**„606" და „914"**
11—12 ს. შეშხაპუნება კონსულტაციურად.

ბ. ა. ნავასარდიანი: 11—12 ს. ქირურგიული და ვენერიული (სიფილის.) ავად.
ნ. გ. ბეგლარაშვ: 1—2 ს. ... გვშვთა შინაგანი ავადმყ.
ზ. ი. ბ...ანახოვა: 10—11 ს. ხახვების, ქალებისა ბავშვებისა.
ბ. გ. ბენიამინოვი: 10—12 ს. ყურისა ყელისა და ცხვირის სნეულებანი.
მ. გ. ბეგლარბანვი: 11—12 ს. კანისა, სიფილისი, ვენერ., საშ. და ქირურგ.
ა. ბ. კარაპეტიანი: 12—1 ს. შინაგან ავადმყოფ და ყბაყურის ავადმ.
ექიმი ქალი ო. ვ. ტერ-დავიდოვაძე 1—2 ს. ბავშვისა და ქალების ავადმყ.

**საღამოთი:**
მ. გ. ბეგლარბანვი: 5—7 საათ.
რჩევა-დარიგება 50 კაპ. ხელმოკლეთათვის უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები მორიგებით.
სამკურნალოს დირექტორი მედიცინის დოქტორი ბ. ა. ნავასარდიანი.
671

კავკასიის სასწავლო ოლქის მზრუნველის ნებართვით ინჟ. მ. ნ. ვინოგრადოვის

## ტფილისის საპოლიტეხნიკო კურსებთან

არსდება მოსამზადებელი კურსები საშუალო სასწავლებლების ყველა კლასებში და ყველა სპეციალურ უმაღლეს სასწავლებლებში შესასვლელად. სპეციალურად მომზადება სამიწისმზომლო და სამხედრო სასწავლებლებისა და საოსტატო ინსტიტუტში. კურსების კანცელარიაში ცნობების მიღება შეიძლება დღის 9—12 საათამდე და საღამოს 5—8 საათამდე. 1207

თევზის მრეწველნი **ძმ. ...** **მაველოვები,** პუშკინის ქუჩა. საკუთ. სახ. № 9 ტელეფონი № 712.

**განყოფილება** ავლაბარში ფოსტის განყოფილების ქვეშ, საკუთარ სახლში. **იყიდება** იმავე ხარისხის **საქონელი,** როგორც პუშკინის ქუჩაზე. 1081

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტიშების მიერ ჩადენილ საქმის გამო, სრულებით ბუნებრივი მოვლენაა, რომ ბალტიის მხრის მემამულეები შეცდილიყვნენ ისეთი ხალხი დაესახლებინათ თავის მამულებში, რომელიც უფრო სანდო და მშვიდია, მით უმეტეს რომ ეს მოახალშენენი რუსეთის შიდა გუბერნიებიდან არიან და რუსეთის ქვეშევრდომებად ირიცხებიან. არ არის მართალი თ-დი მანსირევი, როდესაც გერმანელთა კავშირებს ლოიალურ კავშირებად არა სთვლის.

(შემდეგი იქნება)

## სახელმწიფო საბჭო

**28 მაისის სხდომა.**

**აკიმოვი თავმჯდომარეობს.**

ფეხზე ადგომით საბჭომ პატივი სცა საბჭოს განსვენებულ წევრის გრაფ ნირდის ხსოვნას. შემდეგ აირჩია 15 წევრი საგანგებო კომისიისა სენატის რეფორმების შესახებ სათათბიროდან მისულ კანონ-პროექტის განსახილველად. საბჭომ სათათბიროს რედაქციით მიიღო შეთანხმებული კომისიის მიერ განხილული კანონ-პროექტი საერთოდ სამოქალაქო საქმეთა სასამართლოებში წარმოების ზოგიერთი წესის შეცვლის შესახებ. მიიღეს აგრეთვე რამდენიმე მცირე კანონ-პროექტი. საფინანსო კომისიას გადასცეს კანონ-პროექტი საზღვარ-გარედ გატანილ საქონლის შესახებ და რუსეთის იმპერიის ზოგიერთ ადგილებში განსაკუთრებულ სადამოენო წესების შემოღებისა.

შემდეგი სხდომა—ორშაბათს, 2 ივნისს.

## ახალი ამბავი

### ტფილისი

◆ **მეფის მოადგილე** გრაფი ი. ი. ვორონცოვ-დაშკოვი ტფილისს დაბრუნდება 1 ივნისს.

◆ **პროგიმნაზიის** დამაარსებელმა ვ. ლევანდოვსკიმ ალუპკიიდან დეპეშა მიიღო, რომ კავკასიის მეფის მოადგილის მოხსენების გამო, უმაღლესად ნება დართულ იქმნა, რომ პროგიმნაზია რვა კლასიან გიმნაზიად იქმნას გადაკეთებული ვაჟთა სახაზინო გიმნაზიების უფლებით. გიმნაზიაში ყველა კლასებში ქალვაჟთ ერთად ასწავლიან.

◆ **ტრამვაის გამოსყიდვის** საქმის გამო ტფილისს ჩამოვიდა ბელგიის უსახელო საზოგადოების რწმუნებული რასინი, რომელიც ამ დღეებში ქალაქის გამგეობასთან გამართავს მოლაპარაკებას.

◆ გუშინ წინ მოხდა ღარიბ მოწაფეთა დამხმარე ტფ. გუბერნის თავად-აზნაურთა კრება, რომელზედაც გიმნაზიის გამგე. კომიტეტ. თავმჯდომარის ამხანაგად არჩეულ იქნა ექიმი გ. მაღალაშვილი. კომისიის წევრად, რომელსაც მიენდო მეოთხე განყოფილების საჭიროების გამორკვევის საკითხი, არჩეულ იქნენ: ივ. რატიშვილი, ივ. გამყრელიძე, ვასილ ყიფიანი, ალ. მირიანაშვილი და სპ. ბაქრაძე.

◆ **ნავთლუღის სადგურის გასაფართოვებლად** რკინის გზის სამმართველომ ქალაქის თვითმმართველობას 115,660 საჟენი მიწა ჩამოართვა. მიწის ღირებულების გამოსარკვევად 28 მაისს ტფ. მაზრის თავად-აზნაურთა წინამძღოლის თ-დ სუმბათაშვილის თავჯდომარეობით ქალაქის გამგეობის შენობაში კრება ჰქონდა ტფ. სამაზრო შემფასებელ კომისიას. თვითეული საჟენი მიწა კომისიამ 4 მანეთად შეაფასა, ამ რიგად რკინის გზის სამმართველომ ქალაქს უნდა მისცეს ჩამორთმეულ მიწის საფასური 462,640 მან.

◆ **გრ. ორბელიანის ძეგლი.** მექანდაკემ ი. ნიკოლაძემ უკვე დაამთავრა ესკიზი მოდელი გრ. ორბელიანის ძეგლისა. იგი გამოფენილი იქნება ქართული თეატრის ფოიეში.

◆ გამოვიდა **„სახალხო გაზეთის“** მე-15 ნომერი შემდეგის შინაარსით: 1) ლექსი—ი. გომართელი, 2) კოოპერაციის განვითარება, მისი მიზანი და მნიშვნელობა—ალ. ლორდელი, 3) ურტიკა სიპოს—დ. ღამბაშიძე, 4) ფელეტონი, 5) ორიოდე სიტყვა ლაფნის მნიშვნელობაზე—ამირანი, 6) საყინულე საქმის კავკასიის კომიტეტისაგან—(„ს. გ.“) 7) ქრონიკა, 8) გერმანელთა ახალშენი ბორჩალოში, 9) ქიმიური (ხელოვნური) სასუქები—დ. ღამბაშიძე, 10) სოფლებში წიგნების გავრცელების საქმე—სოფლელი გლეხი.

### საზოგადოებანი და კრებები

◆ **მდაბიო მოქალაქეთა** რწმუნებულების კრება დანიშნულია დღეისთვის, საღამოს 8 საათზე. კრებაზე, სხვათა შორის, მოისმენს სარევიზიო კომისიის მოხსენებას მდაბიო მოქალაქეთა გამგეობის 1907, 1908, 1909 და 1910 წლების საფინანსო ანგარიშის შესახებ.

◆ **ქარიშხლისაგან დაზარალებულთა** დამხმარე კომიტეტის კრება დანიშნულია დღეისთვის, ნაშუადღევის 4 საათზე მეფის მოადგილის სასახლეში.

### ქუთაისი

◆ გუშინწინ დილის მატარებლით ქუთაისში ჩამოვიდა ჩვენი მგოსანი იროდიონ ევდოშვილი. ამ მოკლე ხანში ქალაქის თეატრში გაიმართება მეტად საყურადღებო „ევდოშვილის საღამო“.

◆ ქუთაისის დრამატიულ საზოგადოებას განზრახვა ჰქონია დახმარება აღმოუჩინოს მსახიობ დესპინე ივანიძის ობლებს. დრამატიული საზოგადოება აგრეთვე აპირებს ქალაქის გამგეობაში შუამდგომლობა აღძრან, რომ გამგეობამაც ამგვარივე დახმარება აღმოუჩინოს საწყალად დატოვებულ ობლებს.

### ბაქო

◆ სასანიტარო კომისიამ შავი ჭირის შეტანის თავიდან ასაცდენათ დაადგინა დეზინფექცია გაუკეთოს ყველა მუშას, რომელნიც ასტრახანიდან და სპარსეთიდან მოვლენ.

◆ გაიფიცა 5,000 მუშა ნავთის მრეწველობისა. მათ ეკონომიური ხასიათის მოთხოვნილებანი წარუდგინეს.

### სოფლად.

◆ **ს. მლეთი** (დუშეთის მაზრა). 9 მაისს აქ დაარსდა **წვრილი სესხის** ამხანაგობა.

## საშინელი სეტყვა

**ბეჟათუბნის ხაზ. შორაპნის მაზრა.**

დიდი უბედურება ეწვია 27 მაისს ბეჟათუბნის საზოგადოებას. ასე, ნაშუადღევის ორი საათი იქნებოდა, რომ დაიწყო საშინელი სეტყვა, წვიმა, რომელსაც თან მოჰყვა დიდი ნიაღვარი. მთელი საზოგადოება, რომელიც შესდგება „15 სოფლისაგან“: ბაზი, ქვედი, ღვისი, ჩხილი, ნუნისი, პატარა-ხარაგაული, ზვარე, გუდათუბანი, წიფა, ფონა, გოლათუბანი, ბეჟათუბანი, ნებოძირი, მოლითი და ქვარტალი, არ დაუტოვებია არც ერთი სოფელი, რომ ეს საშინელი სეტყვა და ნიაღვარი არ ყოფილიყოს. სულ მთლად წალეკა და ძირიანად წაიღო ნათესები: პური, სიმინდი და სხ. სულ მოისპო ვენახები, რომ რამოდენიმე წლის განმავლობაში არ გამოდგება ზოგან, მაინც. ბევრი დაიხრჩო ოთხ-ფეხი საქონელი, დაინგრა წისქვილები, გზები, წაიღო შუა, შუის გადასაზიდი ღარები. ს. მოლითში დაინგრა ორი დუქნის შენობები და სხვა შენობები სულ წყლით აივსო. საშინელი სურათი იყო 27 მაისს. ბევრ ალაგას მიწის ზვავებმა გადაიარეს რკინის გზები და მატარებლების მიმოსვლა ცხრა საათით შეჩერდა. ღრმად მოხუცებულები ამბობენ: ასეთი ამინდი, რომ ასე მთლად ამოეგდოს სოფლები, არ გვახსოვსო. ენას არ ძალუძს ასწეროს ეს უბედურება. უანგარიშოა ზარალი. თვალით უნდა ნახოს კაცმა, რომ დარწმუნდეს, თორემ გაგონილი არავის გაუკვირდება, რა ეწვეულება ხალხს. რისი იმედი უნდა ჰქონდეს. შარშანდელი წლით დაზარალებულთ, გაჭირვებით გაჰქონდათ თავი და იმედი ჰქონდათ ამ წლის მოსავლისა. და ამ წელიწადში ხომ არავის არაფერი მოუვა!

საჭიროა მიღებული იქმნას ზომები და დახმარება აღმოუჩინდეს დაზარალებულებს, თორემ მთელ საზოგადოებას დაღუპვა მოელის.

**„ჩამორჩენილი“.**

## შუაგულ საქართველოს მეხილეთა ამხანაგობაში

კვირას, 25 მაისს, კავკასიის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების შენობაში მოხდა შუაგულ საქართველოს მეხილეთა ამხანაგობის გამგეობის კრება. კრებას, სხვათა შორის, დაესწრო მიწად მოქმედების დეპარტამენტისტის მიერ საგანგებოდ გამოგზავნილი სპეციალისტი ფ. ფ. კრიშტაფოვიჩი, რომელსაც ამერიკაში აქვს შესწავლილი მზეზე ხილის გახმობა. გამგეობის თავჯდომარემ ვ. ი. რცხილაძემ ბ-ნ კრიშტაფოვიჩს მოკლედ აუხსნა მიზანი და დანიშნულება ახლად დაარსებულ ამხანაგობისა. ფ. ფ. კრიშტაფოვიჩმა თავის მხრით წარმოსთქვა სიტყვა, რომელშიაც დაახასიათა ამერიკისა და ევროპის საკოოპერაციო დაწესებულებანი. ბ-ნ კრიშტაფოვიჩის დეპარტამენტისაგან დავალებული ჰქონია, ამიერ-კავკასიის სამს ადგილას ხილის გახმობის სადგურები მოაწყოს. როგორც წინასწარ გვემთხვევა, არც ერთი ამ სადგურთაგანი საქართველოს საზღვრებში არ მოხვდება, გამგეობამ ბ-ნ კრიშტაფოვიჩს სთხოვა, ერთი ამ სადგურთაგანი გორის მაზრაში მოაწყოს, რაზედაც ფ. კრიშტაფოვიჩმა თანხმობა განაცხადა. ამის გარდა ბ-ნი კრიშტაფოვიჩი დასთანხმდა, რომ მეხილეთა ამხანაგობის გამგეობის დახმარებით გორის მაზრის სხვა და სხვა ადგილას მცხოვრებთ შეასწავლოს მზეზე ხილის გახმობის საშუალებანი. გამგეობამ ამის შემდეგ განიხილა საკითხი ყუთებში ხილის ჩაწყობის შესახებ. გამგეობამ მოიწონა პეტერბურგიდან მიღებული ხილის ყუთის ნიმუში და დაავალა ორს თვის წევრს, ადგილობრივს ქარხნებს შეუკვეთოს ასეთი ყუთები. გამგეობამ ამასთანავე დაადგინა, პირდაპირი დამოკიდებულება იქონიოს მთელს რუსეთში ხილის ვაჭრებთან და ამ მიზნით ახლავე მიწერ-მოწერა გამართოს მათთან. სხვათა შორის, გადასწყდა მიმართონ მოსკოვში მომხდარ მომხმარებელ საზოგადოებათა კრების ბიუროსთან. კრებაზე გამოირკვა, რომ წელს გორის მაზრაში, უკვე მომხდარ ანკეტის მიხედვით, გასაყიდი ხილი მოვა 50,000 ფუთამდე.

## სომეხთა შორის

**ი. ზარიფიანის დასი.** გამოჩენილი სომეხ მსახიობმა ზარიფიანმა შეადგინა: დრამატიული დასი იმ განზრახვით, რომ რეპერტუარში შეიტანოს განსაკუთრებით სომხური ორგინალური პიესები. მან მიმართა ყველა ავტორს თხოვნით გამოუგზავნონ თავიანთი ნაწარმოებნი და პირობებიც. დასი შემდგარია ოცი კაცისაგან და პირველი სექტემბრიდან დაიწყებს მოგზაურობას. გამართავენ წარმოდგენას: ტფილისში, ბაქოში, დონის ნახიჩევანში, ასტრახანში, ერივანში, თეირანში, რეშტში, ენზელში, თავრიზში, ვანში, ერზერუმში, სტამბოლში, სმირნაში, ტრაპიზონში, სამსუნში და აგრეთვე ეგვიპტის სომეხთა უახლეს კოლონიებში.

**სპარსეთის სომეხთა შორის.** 16 მაისს თავრიზში ეპარქიის უფროს არქიმანდრიტ მელიქ-ტანგიანცის თავჯდომარეობით მოხდა ეპარქიის დელეგატთა კრება წლიური მოღვაწეობის განსახილველად. გამოირკვა, რომ მიწის შესახებ დავა 6-ს ყაჩაღის ხანისა და სომხებს შორის სასურველად გათავებულა; დარჩენილია ეხლა მხოლოდ რაგიმ-ხანის საქმე, რომელსაც 8 წლის წინად გაუძარცვავს სოფელი, რისთვისაც ახდევინებენ მას 12000 თუმანს. შემდეგ მოითხოვენ მაკინის სარდარის მიერ ხელში ჩაგდებულ 14 სოფელს, რისთვისაც მიმართეს საჭირო ზომებს. დერეკის ძველი მონასტერი ჩაუგდია ხელში სიმკოს, რომელიც ახლა რუსეთის ქვეშევრდომი ყოფილა და სამსახურშიაც ირიცხება, ამიტომ მიუმართავთ თეირანის რუსეთის ელჩისათვის. შემდეგ განიხილეს დუქნების გახსნის საკითხი, და როგორც კი მოლაპარაკება შემომწირველებთან გათავდება, შეუდგებიან საქმეს. სასწავლებელ „ლოლაკას“ იუბილე დანიშნულია 11 ოქტომბრისათვის. სწავლის საქმე ახლა გაცილებით უკეთეს პირობებში ყოფილა. სასკოლო ფონდისათვის სალიბასტაში შეუგროვებიათ 800 თუმანი; შემოწირულებათა შეგროვება გაგრძელდება რუსეთის საზღვრებშიც. დასასრულ გადავებულა სომხურ ეკლესიების რესტავრაცია, რომელიც 1000 თუმანი დაჯდარა.

## რუსეთი

**გრ. პ. ნ. კოკოვცევის საქმე.**

17 ივნისისათვის პეტერბურგის საოლქო სასამართლოში დანიშნულია გრ. კოკოვცევის „სტ. პეტერბ. ჰეროლდის“ რედაქტორის გ. ი. პაპირის საქმე. ამ გაზეთში მოთავსებული იყო ყოფილი პრემიერის სახსრის შესახებ ცნობები. ამ საქმემ დიდი ინტერესი გამოიწვია, და შედეგი რასაკვირველია არაფერ საეჭვოს არ წარმოადგენს, რადგან პატიოსნება ყოფილი პრემიერისა ყოველ ეჭვს გარეშეა. როგორც ამბობენ სასამართლოში დასმული იქნება საკითხი თუ რამ გამოიწვია ასეთი წერილი.

მიზეზად გახდა ის გარემოება, რომელსაც ადგილი ჰქონდა ცარსკოე სელოში: მან უარი განაცხადა იმ 200000 მანეთზე, რომელიც საჩუქრად ეძლეოდა კოკოვცევს და აგრეთვე კოკოვცევისაგან თქმული სიტყვები. ვინ გაახმაურა ეს, აი საკითხი რომელიც, როგორც ამბობენ საფუძვლად დაედება დამცველთა სიტყვას. დამახასიათებელია აგრეთვე ის გარემოებაც, რომ გრეიგიდან მოკიდებული ბევრი ფინანსთა მინისტრი ღებულობდა საჩუქარს და ეს არ ითვლებოდა დასაძრახისად.

როგორც ხმები დადის პროცესი ბევრ რამე საინტერესო გარემოებას გამოამჟღავნებს. (რ. ს).

## დეპეშები

(დეპეშათა პეტერბ. სააგენტოსაგან).

**29 მაისი.**

**უცხოეთი.**

**ლონდონი.** მოთმინებიდან გამოსულმა ხალხმა დღის სუფრაჟისტ ქალები გარეკა. ისინი თავის ლიტე-რატურას ავრცელებდნენ. სიტუ… შესდგა მოხალისეთა რაზმი ეკლ… სიებისა და მუზეუმების დასაცავა…

საზღვაო ტექნიკოსების აღმასრულებელმა კომიტეტმა დაადგინა გაფიცვა გამოაცხადოს, რათა სამსახურის პირობები გაუმჯობესებული იქნას და ჯამაგირები მომატებული.

**პარიზი.** რიბომ პუანკარეს აცნობა კაბინეთის შედგენის თაობაზე: კოლონიების მინისტრად—მანუ… საზოგადო სამუშაოთა მინისტრად დეპუტატი აბელი.

რადიკალ-სოციალისტებმა დაადგინეს, რომ უარი სთქვან რიბოს… თვის ნდობის გამოცხადებაზე.

სოციალისტებისა და გაერთიანებულ რადიკალების პრესა რიბოს კაბინეთს მტრულად შეეგება. დანარჩენი ნაწილი პრესისა იმედს გამოთქვამს, რომ ახალი მინისტრების ავტორიტეტი შეძლებას მისცემს კაბინეთი გამაგრდეს და იმუშაოს.

**ბუდაპეშტი.** რუმინიის ნაციონალურმა პარტიამ მიიღო რეზოლუცია, რომელშიაც აღნიშნულია, რომ ჰუნგრეთის რუმინელები დინასტიის მიმართ ლოიალობას გამოიჩენენ… სამშობლოს წინაშე თვის მოვალეობას შეასრულებენ.

**ათინა.** ვენიზელოსმა პალატაში განცხადება შეიტანა ჯარის ახლა მოწყობის თაობაზე. მან სთქვა, რომ საბერძნეთს ჰსურს დაუყონებლივ ახალი ორგანიზაციით ნახევარ მილიონიან ჯარის ყოლა. „ამ წელს ჩვენ ასეთი მრავალ-რიცხოვანი ჯარის ყოლა არ შეგვიძლიან, მაგრამ ამ… მადაც საბერძნეთს საკმაო შეიარაღებული ძალების გამოყვანა შეუძლიან, რათა შეეგებოს მოსალოდნელ ამბებს“.

ფინანსთა მინისტრმა პალატაში 1914 წლ. ბიუჯეტი შეიტანა. შემოსავალი 224 მილიონია, ჩვეულებრივ ხარჯი 220 მილიონი, საგანგებო ფლოტისათვის—220 მილ., ჯარის და მეურნეობაზე—184 მილიონი.

**სოფია.** პირველმა მინისტრმა პასუხი გასცა სოციალისტების შეკითხვაზე ვარნაში, ესტნიმაკში და სოფიაში ბერძნულ ეკლესიების დაკავების გამო. „ჩვენ კი არ გამოგვიწვევია აუარებელი ექსცესები, რომელთა მსხვერპლიც ჩვენი მოძმე… სხვის მფლობელობაში მყოფ ბულგარელების ტერიტორიაზე. მთავრ…

---

პასუხის დაგვარად სჯიან ნორმალურია, თუ არა ნორმალური და რა ზომამდე.

ლიერნეს თავ-შესაფარში ამ ჟამად ექვსას სამოცი (660) სულით ავადმყოფი ირიცხება თურმე. თავ-შესაფარს ინახავს ლიეჟის პროვინცია (სივრცით ჩვენებურ ერთერთ მაზრაზე დიდი არ იქნება) და უჯდება წლიურად დაახლოვებით სამას ათას (300,000) ფრანკზე მეტი. შეშლილები ყველანი არ ცხოვრობენ თავ შესაფარში. დღე და ღამეს იქ ატარებენ მხოლოდ ისეთები, ვისაც განსაკუთრებული მოვლა სჭირია და ვისაც იმდენად დაუძლურებულია, რომ იძულებულია მომეტებული დრო სარეცელში ატაროს. ხოლო დიდი უმრავლესობა სოფელშია განაწილებული მდგმურებად. სოფლელები სიამოვნებით კისრულობენ მათ მოვლას და სამსახურს. ეს მათთვის ხელ-საყრელია, რადგან ამაში სასყიდელს იღებენ, სამას ათასი ფრანკი წლიურად, სოფელს კი არა, ერთ რიგ ქალაქსაც ხელს არ დასწყვეს. ცხოვრობენ შეშლილები სოფლელებთან სრულებით თავისუფლად, როგორც მდგმურები. თითოეულს აქვს საკუთარი მოწყობილი ოთახი. თავ-შესაფარის მთავრობა, შორიდან ადევნებს თვალყურს და ხშირ ხშირად ნახულობს მათ ბინებს, ეს უფრო იმიტომ რომ საზრდო და ჯეროვანი მოვლა არ მოაკლდეთ. ეს ახალი მეთოდია შეშლილთა წამლობისა და როგორც ამბობენ შედეგიც სანუგეშო მოაქვს. ესენი თავ-შესაფარში მხოლოდ დროგამოშვებით იკრიბებიან და რატომ იკრიბებიან ქვემოდ ვნახავთ. დაარსებულია თავ-შესაფარი 885 წელს.

სულით ავადმყოფობაზე საუბრის შემდეგ დირექტორმა თითო თითოდ შემოაყვანინა და გვიჩვენა ზოგიერთი ავადმყოფები.

პირველად გვიჩვენა დაბადებიდან „იდიოტი“. ის 40—45 წლის კაცი იქნება; ცოტა წვერ-ულვაში აქვს. საინტერესოა მისი თავის ქალის მოყვანილობა.—წვრილი, წოწოლკინა, სახის გამომეტყველება სულელური აქვს. თავისი სახელი კი იცის, წლოვანება კი არა. სულ უბრალო კითხვებზედაც ვერა მიუგო რა. ლაპარაკობს ძლიერ ცუდად, თითქმის გაუგებრად დადის კი კარგად. ცხოვრობს ბინაზე. მეორე ქალია, შუახნისა, შავგვრემანი ესეც დაბადებიდან „იდიოტია“, სახე და თავის მოყვანილობა ჩვეულებრივი აქვს, ლაპარაკობს გვარიან კარგად, მაგრამ უღმერთოდ ტყუის. თექვსმეტი წლისა ვარო, ქმარი მყავსო. დირექტორმა ათ სანტიმიანი რომ უჩვენა, ალტაცებით წაეტანა. რა თქმა უნდა მიიღო საჩუქრად. თვლა არ იცის. ერთს კი იტყვის და ორს კი ვერა სწვდება მისი გონება. ჩვენი პროფესორი რომ დაეკითხა. მიცნობ თუ არაო?—როგორ არაო მხიარულად მიუგო. შემდეგი ხელ-ურემით შემოიყვანეს, რადგან დაბადებიდან მკელობელია. მოხუცია უკვე კბილები სრულებით არა აქვს. სახე აქვს ძლიერ გრძელი, ანორმალური, ლაპარაკი არ შეუძლიან, მხოლოდ რაღაც ხმებს ისვრის ალბათ ჩვენი თუ შეეშინდა, ტირილი დაიწყო და დირექტორს შეაჩერდა; იმას რომ დაუყვავა და თავზე ხელი გადუსვა, სიცილზე გადავიდა. ეს უპატრონოდ, ღვთის ანაბარად რომ იყოს მიგდებული, შენი მტერი, რაღაც ენით გამოუთქმელი საშინელება იქნებოდა, მაგრამ რაკი დაბანილ-დავარცხნილია, სუფთად აცვია და საზრდოც დროით და საკმაოდ აქვს, არც იმდენ ცუდ შთაბეჭდილებას ახდენს. შემდეგ შემოვიდა ვაჟკაცი, ასე 35 წლისა, სუფთად აცვია, გახამებული პერანგი ყელ-სახვევით, როგორც მიღებულია დასავლეთ ევროპაში, საათიც ჰკიდია თავისი ძეწკვით. ლაპარაკობს სრულებით ნორმალურად. სკოლაში ვიყავიო, მაგრამ ავად გავხდიო და ამიტომ სწავლას თავი დავანებეო. თვლა იცის ფლამანურად, ეროვნებით ვალონიკია. ფლამანური ლაპარაკიც იცის. ბუნებით ჩქარი და ცქვიტი ბიჭია, მაგრამ, საუბედუროდ, ესეც დაბადებითვე ჭკუა ნაკლებია. თავის ქალის შუაგულ რაღაც წყლული აქვს. მაგრამ აი მიშელი. 30 წლის იქნება. ეს მხიარულია. იცინის, ოხუნჯობს. „გუშინ რა გააკეთეო“, დაეკითხა დირექტორი,—ვისიამოვნეო, მიუგო.—რის სურვილი გაქვსო.—ერთი გომბიო გოგო მინდაო. მიშელს, ეტყობა, პოლიტიკა აინტერესებს. წასვლისას „à bas la calotte“-ო (აბა ლა კალოტ—ძირს კამილავკა), დაიძახა. ეს ბელგიელ მემარცხენეების მიერ კლერიკალების წინააღმდეგ წამოსაძახებელია; ამას მღერიან კიდეც. შემდეგ შემოვიდა ახალგაზდა ასე 25 წლის ქალი. ჩვენი პროფესორი იცნო. თურმე ერთ დროს მის სენატორიუმშიაც ყოფილიყო. ამას მუშაობაც შეუძლიან ცოტ-ცოტა. პროფესორის მეუღლე და შვილებიც იცნო, მათ სახელები უწოდა. უცბად ტირილი წასცდა, საჩქაროდ ისევ გაიცინა. აი ახალგაზდა 17—18 წლის ბიჭიც. ბავშვური ნაზი გამომეტყველება აქვს. ერთ დროს სკოლაშიაც ყოფილა. წერა-კითხვა იცის, შემდეგ მეჩქმისთვის მიუბარებიათ და იქ შეუმჩნევიათ, რომ ჭკუა ნაკლებია და იქიდან აქ ამოუყვია თავი. შვიდჯერ ათი რამდენი იქნებაო, რომ დაეკითხა პროფესორი, გამოიყვანა, მაგრამ შვიდჯერ თორმეტზე კი ვერა უპასუხა რა.

ახლა ჯერი მიდგა მეორე ჯურის ავადმყოფებზე ე. ი. ისეთებზე, ვინც დაბადებით საღნი იყვნენ, მაგრამ შემდეგ შეიშალნენ. ზოგს მეხსიერება ღალატობს, ზოგს ზნეობა-უზნეობის უნარი აქვს დაკარგული, ზოგი გაკოტრებული ვაჭარია, ზოგი გალიუცინაციით არის შეპყრობილი, ზოგს თავი დიდ კაცად აქვს წარმოდგენილი. აი მაგლითად შემოვიდა მოხუცი, სახელი და გვარი სწორედ სთქვა, წლოვანება კი აერია. „მდიდარი ხარო? დაეკითხენ.—ძლიერ მდიდარი ვარო.—აქ რას აკეთებო?—თავს ვირჩენო. ეს წინეთ მადნის სადნობ ქარხანაში მსახურებდა თურმე. აგერ 40—45 წლის ქალი. წლოვანება არ ახსოვს. რა დღეაო, რომ დაეკითხენ, მიუგო, კვირააო. სადაურია, რომელი სოფლისა არ ახსოვს. „შენ კი კარგად გიცნობო უთხრა დირექტორს, ამათ კი ვერაო, სთქვა ჩვენზე. წასვლისას ყველას ზრდილობიანად თავი დაუკრა. აი ერთი წარმოსადეგი ვაჟკაცი. ეს ეპილეპტიკია. ხშირად თავის თავს ედავება რაღაცეებზე, თავის თავი დიდ მათემატიკოსად ჰყავს წარმოდგენილი. ას ოცდა ცხრა სამად გაყო. ქრისტეს დაბადების ქორონიკონზე კი ვერა მიუგორა. აგერ ერთი ქალიც შუა ხნისა. ბევრს ყბედობს. გალიუსინაციით არის შეპყრობილი, რაღაცეები ელანდება. იცინის, მერე დაიჩოქა და ლოცვა დაიწყო, ფრანგულს გერმანული მიაყოლა. აი მოხუცი, მშვიდი, წყნარი. „სიცოცხლეს სიკვდილი მირჩევნიაო, სთქვა საბრალომ, რადგან მუცელში თაგვები დამიბუდნენ და მოსვენებას არ მაძლევენო“. ეს გალიუსინაციით შეპყრობილია.

სანამ აქ ეს ამბები იყო, ფანჯრიდან ეზოში გავიხედე. შეშლილებით სავსე იყო იქაურობა, ზოგი წყნარად იჯდა და მზეზე თბებოდა, ზოგი ჩიბუხს აბოლებდა. ზოგი აქეთ-იქით დადიოდა, ხელებს აქნევდა და თავის თავს ელაპარაკებოდა, მაგრამ სხვას კი არაფერს არ ერჩოდა. აგერ ერთი ყმაწვილი კაცი, ხის ძირში სკამზე ჩამომჯდარა, გაზეთი გაუშლია და კითხულობს, ხშირ-ხშირად რაღაც ნაირ აღტაცებაში მოდის და მის გვერდით მჯდომ ამხანაგს წაკითხს მხურვალედ უხსნის.

გავიარეთ ეზოში. შეშლილები ბუზებივით ირეოდნენ, მაგრამ საერთო წეს-რიგი საუცხოო სუფევდა. აქაც დირექტორი მიგვიძღოდა. დირექტორი ბ. მასსუ (Massou) შუა ხნის კაცია, სანდომიანი სახისა, შავგვრემანი, დინჯი, წყნარი, უშფოთველი, აუღელვებელი, პირის სახეზე მუდამ ღიმილი უკრის, ის ტიპიური პსიხიატრია. შევედით მწოლიარეთა განყოფილებაში. უმეტესობა მოხუცებულია. ერთმა მოხუცმა შეკითხვაზე, ორის წლისა ვარო, მიუგო. თვალი მოვავლე ერთ ღრმა მოხუცს. საბრალო, ცრემლ-მორეული შემოგვყურებდა. ვინ იცის, რა გაახსენ… მა ნახვამ? იქნებ ერთი წ… ბრუნდა სულიერი… გონდა წარს… თავი… [illegible]

…შინელება ელანდებოდა. გული დ… მეწო, მზად ვიყავი მეც მეტირნა.

აქედან ქალების განყოფილებაში შევედით. დირექტორმა მიგვიყვანა ერთ რუმბივით ჩამრგვალებულ… ალმა მწოლიარე ქალზე. ორმა მოსა… სახურე გოგომ ძლივს ძლიობით წამოაყენა. ეს ქალი შეშლილია… ხოვების მოლოდინში. შეუთხზავ… მშვენიერი სიტყვა თავის ჯვრის წ… რის სამზადისის შესახებ. დირექტორ… მა სთხოვა, რომ ჩვენთვის ეთქვა… სიტყვა. ჯერ გაიბაზა: „ბევრი რ… დამავიწყდაო“, მაგრამ მაინც დაი… ყო; madames, messieurs“-ო, მშვენ… ერი კრიალა ხმით და კაი ფრანგუ… ლით. მიჰყვა და მიჰყვა. მაგრამ მ… სიტყვის შინაარსის გადმოცემაზე… მოგახსენო; სიცილი მახრჩობდა… თავის შეკავებაში ვიყავი გართული… ხან ქუდით პირს ვიტენავდი, ხან ამ… ხანაგებს ზურგს ვეფარებოდი. თვა… ლად ამ ქალს არა უშავს რა… კვირს, რად არ გათხოვილა… როგორც ეტყობა, სურვილ… ჰქონი… ალბათ დიდი წ… უნდა ყოფილიყო და… ვისმე არ იკადრებდა დიდ… დალოცვილი. აკი თავის… საფრანგეთის რესპუბლ… დენტი პუანკარე… მოიხსენია.

აგერ ახალ… ლამაზი, … ქალი. წ… [illegible]